პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 28 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 120 (1275)

დღიური

— პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშინსკი ამერიკაში მიემგზავრება.

— ბელგიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება.

— ხმები დადის, რომ პოლიარული ექსპედიციის მკვლევარი ამუნდსენი დაიღუპა.

— საფრანგეთის ქიმიური წარმოების მუშათა კავშირი გამოვიდა რეფორმისტული ინტერნაციონალიდან.

„კომუნისტი"

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ.	75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში	1 მანეთი
პროვინციაში—	1 მ. 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ივნისისათვის

თვითნებობა აღმოფხვრილი იქნება

დღეს პარტიის და ხელისუფლების მთავარ საზრუნავ საგანს სოფელი შეადგენს. მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის უფრო განმტკიცება და გაღრმავება—აი საითკენაა მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული. მუშაობა სწარმოებს ყველა ხაზით: პოლიტიკური, ეკონომიური-კულტურული მიმართულებით. გლეხობის ჩაბმა საბჭოების მუშაობაში, საბჭოთა კანონიერების დამკვიდრება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, კოოპერაციის განვითარება, ქალაქის იაფი საქონლის მიწოდება მოსახლეობისათვის, სკოლების, სამკითხველოების, კლუბების გახსნა სოფლად, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან და მრავალი სხვა,—ყველა ამ დარგებში გადადგმულია და იდგმება სათანადო ნაბიჯები.

ყველა იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიზნად ისახავენ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მის მჭიდროდ დაკავშირებას მუშათა კლასთან, საგადასახადო საქმის მოგვარებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. და საბჭოთა ხელისუფლებაც იღებს შესაფერ ზომებს გლეხობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის. ამ მიზნით მნიშვნელოვანი რაოდენობითაა შემცირებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ამასთან დეკრეტში ამ გადასახადის შესახებ შეტანილია მთელი რიგი სხვა ცვლილებები, რომელნიც უზრუნველყოფენ გადასახადის სამართლიან განაწილებას მეურნეობის შეძლებულობის მიხედვით, გაადვილებული და გამარტივებულია მისი აკრეფის წესიც; გარდა ამისა, საგრძნობი ნაწილი ამ გადასახადიდან უშუალოდ გადადის თემის ბიუჯეტში.

ამავე დროს „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულება" აწესებს გლეხობისათვის სულ მცირე, მინიმალურ გამოსაღებს სხვა და სხვა შემთხვევის დროს. მაგრამ ერთია „დებულება", ხოლო სხვა აღმოჩნდა სინამდვილე, ამ „დებულების" ცხოვრებაში გატარება. ამის შესახებ დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ცირკულიარულ წერილს და მთავრობის დადგენილებას.

როგორც ამ მასალიდან გაიგებს მკითხველი, სოფლად საგადასახადო პრაქტიკაში ადგილი ჰქონია აღმაშფოთებელ თვითნებობას, „ადგილობრივი ფინანსების შესახები დებულების" უხეშ დარღვევას. ადგილობრივად გლეხებზე თურმე აწესებდენ სრულიად უკანონო გადასახადებს, რომელნიც კანონიერ ნორმებს აღემატებოდენ ხუთჯერ, ათჯერ და უფრო მეტად. პირუტყვის გასაყიდად საჭირო მოწმობის აღება, მისი ბაზარზე მორეკვის ნებართვა, საქონლის აწონვა და მრავალი სხვა გლეხს უჯდებოდა გაცილებით უფრო მეტი, ვინემ ეს გათვალისწინებულია კანონებში. შემოღებული იყო ისეთი გადასახადებიც, რომლებიც მთავრობას სრულებით არ ჰქონდა დაწესებული. აქა-იქ ასაწონი პუნქტები და სხვა საგადასახადო წყაროები იჯარით ყოფილა გაცემული კერძო პირებზე. ახლა წარმოიდგინეთ, თუ ეს კერძო მოიჯარადრენი როგორ ატყუებდენ გლეხობას და ტყავს აძრობდენ მას!

ადგილობრივ საგადასახადო პრაქტიკაში მრავალ ალაგას გამეფებული იყო საშინელი თავგასულობა. ყოფილა შემთხვევა, როცა გლეხს ფული არ ჰქონია და მასზე უკანონოდ შეწერილი გადასახადი ვერ შეუტანია, მისთვის ზედატანისამოსი ჩამოურთმევიათ!

ყველა ეს უმსგავსოება იწვევდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას და ლახვარსა სცემდა გლეხობის და მუშათა კლასის დაკავშირების საქმეს. ამასთან იგი ხელს უშლიდა სოფლის საწარმოო ძალების გაფურჩქვნას, სოფლად ნორმალურ საბაზრო ურთიერთობის, აღებ-მიცემობის განვითარებას.

პარტიამ, ხელისუფლებამ ყველა ამის წინააღმდეგ მიიღო გადაჭრილი ზომები. პარტიის ცირკულიარი და მთავრობის დადგენილება ამას ადასტურებს. მკაფიოდაა განსაზღვრული, თუ რაში უნდა გადაიხადოს გლეხმა და რამდენი უნდა გადაიხადოს. ამ დადგენილების დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ ფხიზელი თვალყური ადევნონ, რათა ძირიან-ფესვიანად იქნეს აღმოფხვრილი ყოველგვარი თვითნებობა ადგილობრივ საგადასახადო პრაქტიკაში.

პარტიულ და სათანადო საბჭოთა ორგანოებს ევალებათ გლეხობას ფართოდ გააცნონ საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის და ღონისძიებათა შინაარსი.

უნდა მოეწყოს პატიოსანი ადმინისტრატიული და საგადასახადო აპარატი.

ეჭვი არ არის, რომ პარტიის და მთავრობის გადაჭრილი ზომებით სულ უახლოეს დროში ერთხელ და სამუდამოდ იქნება აღმოფხვრილი ის უკანონობა და თვითნებობა, რასაც ადგილი ჰქონდა ადგილების საგადასახადო პრაქტიკაში. საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ სდგას გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე და იგი შეუბრალებლად ალაგმავს ყველა იმათ, ვინც გაბედავს ამ ინტერესების შელახვას.

თემი და თემის ბიუჯეტი*)

II

სათემო საბჭოების და აღმასკომების შემოღების შესახებ სრულიად საქართველოს ცაკის ა.-წ. 8 იანვარის დადგენილების თანახმად მაზრებში არსდება წვრილი ადმინისტრატიული და ამავე დროს სამეურნეო ერთეულები. საქართველოში ეხლა არის 481 თემი, მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელსაც შეუძლია დაუხმარებლად იარსებოს, ე. ი. თავისი შემოსავლით დაფაროს თავისი ხარჯები. ამიტომ საჭიროა თემების შემოსავლის წყაროები გაფართოვდეს და გაძლიერდეს; ამ მიზნით თემებს უნდა გადაეცეს ყველა ადგილობრივი, თემური მნიშვნელობის მამულები, ქონებები და წარმოებები. ასეთი შეხედულება საფინანსო და საერთოდ ხელმძღვანელ წრეებში უკვე საკმაოდ მომწიფებულია.

კავშირის მიერ მიღებულ „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებით" თემის შემოსავლის წყაროებს შეადგენს: ა) ექსპლოატაცია და იჯარა მიწების და ქონებათა და სხვადასხვა წარმოებები; ბ) ანარიცხები სახელმწიფოს შემოსავლებიდან და მათზე ზედნართები თანახმად არსებულ „დებულებისა"; გ) ადგილობრივი გადასახადები, ბაჟები და ანაკრეფები; დ) სესხი, დახმარება და სხვ.

მაგრამ ის წყაროები (საგადასახადო და არა საგადასახადო), რომელნიც დღეს ადგილობრივი ორგანოების ხელშია, არ არის საკმარისი, რომ თემებმა დაახლოებითაც მოიხადონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. თემების ბიუჯეტის უდეფიციტოთ შედგენისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასი პროცენტის თემებზე გადაცემაც არ კმარა. კიდევ უნდა ვეძიოთ წყარო. ადგილობრივ ფინანსების კარგათ მცოდნეთა წრეებში ფიქრობენ, რომ ამ გაჭირვებიდან შეიძლება თემი გამოიყვანოს ნაციონალიზაციაქმნილ ქონებებმა და მამულებმა (ზოგი სახნავ-სათესავი, შენობები, წისქვილები და სხვ.) რომელთაც რესპუბლიკანური ან სამაზრო მნიშვნელობა არა აქვთ და დღეს კერძო პირების ხელშია და ბევრ შემთხვევაში დაქსაქსულია. ეს წყაროები იმდენად დიდია, რომ ადვილად შეიძლება მათი საშვალებით თემების მდგომარეობა გაჯანსაღდეს და თემის ინტერესი, კერძო პირის ინტერესზე მაღლა დგას და უკანასკნელმა პირველს ადგილი უნდა დაუთმოს.

ამნაირად, რეალური ბიუჯეტის შექმნით თემის (ე. ი. ერის ქვედა ფენების) გაცხოველების აუცილებლობა აყენებს მუნიციპალიზაციია და ნაციონალიზაციაქმნილ მამულების და წარმოებათა გადანაწილების კითხვას. ეს კითხვა უკვე დაყენებულია და საჭიროა მისი სწრაფად გადაჭრა. მთავრობაც უკვე შეუდგა ამ კითხვის გამოკვლევას.

მაგრამ გამოკვლევა უნდა აგრეთვე ხარჯებსაც. მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, თუ რა და რა ხარჯები რეალურად დაეკისრება თემებს და რას უდრის თითოეული ამ ხარჯთაგანი. დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, რომელსაც 1924—1925 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის და განხილვის დროს ჰქონდა ადგილი: არ იყო მაშინ შესაძლებლობასთან რაციონალურად შეფარდებული მტკიცე ქსელი სკოლების, საავადმყოფოების, ამბულატორიების, გეგმა აღმშენებლობის (გზების, ხიდების), აგრო-დახმარების და სხვ.

მეორე, უაღრესად უარყოფითი ფაქტი ბიუჯეტის შედგენის დროს იყო ადგილობრივ ორგანოებზე გაცილებით მეტი ხარჯების დაკისრება, ვინემ წყაროები იყო მათზე გადაცემული. ასეთი მოვლენის განმეორება, რასაკვირველია, სრულიად დაუშვებელია ყოველგვარი მოსაზრებით.

ბიუჯეტის საფუძველი უნდა იქნეს ყოველმხრივ გაზომილი და მტკიცე; ბიუჯეტში წლის განმავლობაში არ უნდა მოხდეს რყევა და მით უმეტეს პერტურბაცია.

რა საფუძვლით და რა საზომით უნდა ვიხელმძღვანელოთ ახლად შემოღებულ თემების ბიუჯეტის შედგენის დროს?

საფუძვლად ჩვენ უნდა მივიღოთ 1924—1925 წლის სარაიონო ბიუჯეტების ტევა; ამ ბიუჯეტებში შევიტანოთ ცვლილებები იმის მიხედვით, თუ რამდენი თანხის ახალი წყაროები გადაეცემა თემებს. ამნაირად ჩვენ გვექნება თემების მატერიალური შეძლების საზომი. როდესაც ჩვენ გვექნება თემის შემოსავალზე წარმოდგენა, მაშინ ამ შემოსავალს გავანაწილებთ სხვა და სხვა აუცილებელ ხარჯების დასაფარავად თანახმად მომქმედი „დროებითი დებულებისა" და ადგილობრივი ცხოვრების მოთხოვნილებისა. ჩვენ არ შეგვიძლია დღევანდელ პირობებში ბიუჯეტის შედგენას დოქტრინიორულად მივუდგეთ და ჯერ შევადგინოთ თემის მოქმედების, ხარჯების გეგმა და მხოლოდ შემდეგ ვიზრუნოთ საჭირო თანხებზე. ასეთი წესით მუშავდება სახელმწიფოს და ადგილობრივი ბიუჯეტები ნორმალურ პირობებში მაშინ, როდესაც არის გრძელვადიანი სესხის აღების და ობლიგაციების გამოშვების საშვალება. ასეთ შესაძლებლობას დღეს ადგილობრივი ორგანოები და მით უმეტეს თემები სავსებით მოკლებულია.

ჩვენ გვაქვს 481 თემი და 152 სოფლის საბჭო, და ყველა მათ შესანახათ წლის განმავლობაში დაახლოვებით საჭიროა 1.200.000 მან., რომელიც ნაწილდება რგვალი ციფრებით ა.-ე: ხელფასი—980 ათ. მან., სოც. დაზღვ. ადგილკომი და კულტფონდი—120 ათ. მან. და საკანცელარიო და სხვა ხარჯები—100 ათ. მან. ამ თანხებიდან 1924—1925 წ. რაიაღმასკომების შესანახად იყო ბიუჯეტში შეტანილი 500 ათ. მან, რადგან მომავალ საბიუჯეტო წელში რაიონების ნაცვლად იქმნება თემები. ეს ხუთასი ათასი მან. გადაიდება თემების ბიუჯეტებით გათვალისწინებულ ხარჯების დასაფარავად. მაგრამ თემების დასაკმაყოფილებლად კიდევ უნდა გამოიძებნოს შვიდასი ათასი მან. ეს ციფრები საორიენტაციო ხასიათისაა. სინამდვილეში ხარჯები, რასაკვირველია, მეტი იქნება.

მიმდინარე წელს აგროდახმარების ხარჯები სამწუხაროდ და სამარცხვინოდ თითქმის სრულიად არ იყო შეტანილი ადგილობრივ ბიუჯეტებში. ეს ხარჯები მომავალ წელს უსათუოდ უნდა იქნეს ბიუჯეტში შესაფერ რაოდენობით შეტანილი. სარემონტო-საამშენებლო, კეთილმოწყობის ხარჯები ძალიან მცირე, სრულიად არასაკმარის თანხას წარმოადგენდა; დაუშვებელ მდგომარეობაში იმყოფებიან სკოლები, საავადმყოფოები, და ბევრს ალაგას ისინი თავიანთ დანიშნულებას ვერ ემსახურებიან. ასეთი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს; ახალ სკოლებს და საავადმყოფოებს თუ ვერ გავხსნით, პირველყოვლისა არსებულები მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა მოვაწყოთ. ყველა ეს საჭიროება ხარჯების ზრდას გამოიწვევს; ეს—აუცილებელია. ამ ზრდას ვერც ერთი საფინანსო უწყება ვერ შეაჩერებს. მაშ უნდა ვეძიოთ შემოსავლის წყაროები დ საგადასახადო პრინციპები და კანონები ხალხის ცხოვრებას, განვითარებას, სოციალურ და სოციალისტურ პრინციპებს უნდა შევუთანხმოთ. ამ ნიადაგზე ჩვენ დიდი და ფრიად მძიმე მუშაობა დაგვჭირდება. მაგრამ მედგარი სოციალისტი მუშაკი ამ მოვალეობას არ გაექცევა. ძიება მას გზას უჩვენებს, და საგადასახადო პრინციპები და თვით გადასახადის დაწესების, აკრეფის და განაწილების კანონები ისე, როგორც არა საგადასახადო წყაროებით სარგებლობის უფლებები, არ გაიყინებიან და ჩამოყალიბდებიან თანახმად სწორად, სოციალისტურად გაგებულ სახელმწიფო და ადგილობრივ ინტერესებისა. ამ შემთხვევაში კი, სრული იმედია, რომ თემების მინიმალური, მაგრამ, რასაკვირველია, ნორმალური არსებობისათვის საჭირო საშუალება მოიძებნება, და ხალხი წელგამართული, თავისუფალი, თავის საშემოსავლო წყაროების შეგნებულად გამნაწილებელი, მოუვლის თემს, განავითარებს მას ეკონომიურად და კულტურულად, და თემი გახდება მტკიცე და ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს სოციალური სახელმწიფო.

დ. თოფურიძე.

---

*) დისკუსიის წესით.

რედ.

ხაზით-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობებით)

გამოაშკარავებული სიყალბე

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 27 მაისი. „პრავდა" სწერს:

„უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ევროპის ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი აზრი" უწმინდური ცილისწამების კამპანიას აწარმოებს „მოსკოვის", „საბჭოთა აგენტების", „კომინტერნის დამქაშების" და სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებსაც საშინელი სახით ხატავს ბურჟუაზიული პრესა. ცილისწამების კამპანიას აწარმოებს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებს ყველა, ვისაც არ ეზარება ეს ხელობა. იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორია კომინტერნის ბოროტმოქმედებათა ამ „დაურღვეველი საბუთების" ნამდვილი ფასი, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მეორე კორესპოდენციას, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება დღეს.

„გერმანიის ხელისუფლებამ ბერლინში დააპატიმრა ცნობილი თეთრგვარდიელი დრუჟელოვსკი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა კომინტერნის და საბჭოთა დაწესებულებების ყალბი ბლანკების მთელი ასორტიმენტი".

რას ნიშნავს ეს ცნობა? თუ კომინტერნის მაგინებელნი პირუკუღმა არ შეაბრუნებენ ამ ცნობას, თუ ისინი არ იფიქრებენ, რომ თვით „გერმანიის ხელისუფლება" „კომინტერნის აგენტია", თუ აქამდი არ მივა საქმე, მაშინ ერთადერთი დასკვნა აქედან უნდა იყოს ის, რომ კაპიტალისტურმა მსოფლიომ თვითონ შეირცხვინა თავი და თვითონ გამოაშკარავა ყველას წინაშე ის, თუ რა მერყევ ნიადაგზე აწარმოებდენ შეტევას კომინტერნის წინააღმდეგ, თუ რა ფხვნილ ნიადაგზე იყო აშენებული ცილისწამების და სიყალბის თავისებური ეიფელის კოშკი.

რა გარანტიაა იმისა, რომ „დრუჟელოვსკის ფაბრიკა" მონოპოლიური წარმოება არ არის, რომ არ არის სხვა ასეთი წარმოება, რომლის სარდაფებში კომინტერნის დაუძინებელი მტრები და მაგინებელნი ამზადებენ თავის „დაურღვეველ საბუთებს". არავითარი ასეთი გარანტიები, რასაკვირველია, არ არის და არც შეიძლება იყოს. ჩვენ მეტის მეტათ გულუბრყვილო ვიქნებოდით რომ ასეთი გარანტიები მოგვეთხოვა სერიოზულათ კაპიტალისტური მთავრობებისაგან. მაგრამ დეე ბატონი უცხოელი კაპიტალისტები ჩაუფიქრდენ ეხლა კითხვას: როგორი „მორალური ავტორიტეტი" უნდა ჰქონდეს კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლას იმ „სამწუხარო" ამბავის შემდეგ, რომელიც დრუჟელოვსკის შეეხება? საეჭვოა, რომ ეს „მორალური ავტორიტეტი" ნულზე მაღლა იდგეს.

დრუჟელოვსკის ისტორია კიდევ უფრო მეტათ, ვიდრე „ზინოვიევის წერილის" ისტორია, ამტკიცებს იმას, თუ როგორია საბოლოო ანგარიშით ბედი ყოველგვარი დიდი პოლიტიკური სიყალბისა, თუ გინდ ამ უკანასკნელის დასახმარებლათ ფეხზე დაყენებული იქნეს „კულტურული" დიპლომატიის ყველა საშუალებები.

მაშ ასე, ბატონებო, ითაღლითეთ, მოატყუეთ ხალხი, შეადგინეთ თქვენი ზღაპრები და სულელური იგავები კომინტერნის შესახებ მომავალშიაც, მაგრამ ფრთხილათ იყავით, პატივცემულო ბატონებო. გაუფრთხილდით თქვენს გაიძვერულ ტყავს. იცოდეთ, რომ ჩვენ გამოვამჟღავნეთ თქვენი საგმირო საქმენი, ვამჟღავნებთ ეხლაც და გამოვამჟღავნებთ მომავალშიაც".

თეთრგვარდიელ დრუჟელოვსკის დაპატიმრება

ბერლინი, 26 მაისი. გერმანიის ხელისუფლებამ ბერლინში დააპატიმრა ცნობილი თეთრგვარდიელი დრუჟელოვსკი. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ყალბი ბეჭდები, საბჭოთა და კომინტერნის დაწესებულებების ბლანკები, აგრეთვე გამზადებული ყალბი საბუთები. სხვათა შორის მას აღმოაჩნდა ყალბი საბუთები, რომელიც გამოქვეყნებული იყო პარიზის გაზეთში „ლიბერტე"-ში.

ინგლისს ჯიუტობა ძვირად უჯდება

ინგლისმა დაჰკარგა ამიერ-კავკასიის შეკვეთა

ლონდონი, 26 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება:

თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა ტერტლმა შეკითხვა შეიტანა იმის შესახებ, რომ იცის თუ არა ვაჭრობის სამინისტრომ, რომ გუთნების დიდი რაოდენობა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკამ შეუკვეთა კრუპპის ქარხნებს ესსენში, ამასთანავე გუთნების პირველი პარტია, 1.500 ცალის რაოდენობით, უკვე გაიგზავნა ზღვით თბილისში. შემდეგ ტარტლი შეეკითხა მთავრობას, რომ განზრახული აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაზე გაავრცელოს კანონი სავაჭრო შეღავათების შესახებ, რათა ინგლისის მანქანების საამშენებლო მრეწველობამაც შესძლოს ასეთი შეკვეთის მიღება.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა გინესმა ტერტლის შეკითხვაზე უარყოფითათ უპასუხა და გაიმეორა ის განცხადება, რომელიც ინგლისის მთავრობამ გააკეთა 12 მაისს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების არ მიცემის შესახებ.

საგარანტიო ხელშეკრულება და ინგლისი

ლონდონი. 26 მაისი. მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის საპასუხო ნოტის გამო საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, ინგლისის მთავრობა იძულებული იქნება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასვას საკითხი თავისი საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი კონტინენტალური სახელმწიფოები ჟენევის ოქმს ჯერ კიდევ არ სთვლიან გაუქმებულათ.

ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ჩემბერლენმა უკვე წარუდგინა კაბინეტს მემორანდუმი, რომელშიაც ის აშუქებს თავის თვალსაზრისს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე.

საფრანგეთის პასუხი გერმანიის წინადადებებზე.

ლონდონი, 26 მაისი. 27 მაისს მთავრობა განიხილავს ბრიანის პასუხს ჩემბერლენის შეკითხვებზე, თუ როგორი იქნება საფრანგეთის პასუხი გერმანიის წინადადებაზე საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, საფრანგეთის პასუხი ასეთი იქნება:

საფრანგეთის მთავრობა სთვლის, რომ მისი ნოტა წარმოადგენს მოკავშირეთა ერთსულოვან აზრს. ბრიანი იმეორებს, რომ საგარანტიო ხელშეკრულებაში უფრო განვითარებული უნდა იქნას ვერსალის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებშიც ლაპარაკია გერმანიის განიარაღებაზე. საგარანტიო ხელშეკრულებამ არ უნდა დაარღვიოს ვერსალის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პოლიტიკური და ტერიტორიალური უფლებები ანდა გამოიწვიოს გერმანიის ტერიტორიის შეცვლა.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა ვერ დაეთანხმება, რომ საგარეო ხელშეკრულებით ოდნავ მაინც იქნეს შემცირებული საფრანგეთის უფლება დაიცვას არსებული მდგომარეობა. საფრანგეთი ვერ დაუშვებს, რომ მომავალმა შეთანხმებამ რეინის საზღვრების ხელუხლებლობის შესახებ ხელი შეუშალოს მას დაეხმაროს თავის მოძმეებს აღმოსავლეთ ევროპაში.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულებები, რომლებიც გერმანიის წინადადების თანახმად უნდა დაიდვას მისსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის, უნდა ეთანხმებოდენ ვერსალის ხელშეკრულებას და უნდა იმყოფებოდენ ერთა ლიგის მფარველობაში, რომელშიც უნდა შევიდეს გერმანია.

პოლონეთი ახალ ბატონს ეძებს

ვარშავა, 26 მაისი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ მიიღო მიპატიჟება შეერთებულ შტატებში პოლონეთის შესახებ რამდენიმე ლექციის წასაკითხად. მიპატიჟება გადასცა სკშინსკის ამერიკის ელჩმა ვარშავაში პირსონმა მთავრობის დავალებით პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის სახელით. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ სკშინსკის გამგზავრებას კერძო ხასიათი აქვს.

„რეჩ პოსპოლიტა" სპეციალურ წერილში აღნიშნავს, რომ სკშინსკის მოგზაურობას, რომელიც ერთი თვის განმავლობაში მზადდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან პოლონეთმა უნდა მოიპოვოს შეერთებული შტატების ნდობა და უზრუნველყოს უკანასკნელის პოლიტიკური და ფინანსიური დახმარება.

პროფმოძრაობის მთლიანობის აღსადგენად

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხის გამო

ლონდონი, 26 მაისი. ყველა გაზეთები ბეჭდავენ უკომენტარიოდ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხს ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი.

„მანჩესტერ გარდიენ"-ის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მოხერხებულად სარგებლობს ინგლის-რუსეთის შეთანხმებით პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ და მის ნიადაგზე წინადადებას აძლევს ევროპის დანარჩენ ქვეყნების პროფმოძრაობას გადასინჯოს თავისი თვალსაზრისი.

მორიგი ჭორი

ლონდონი. 26 მაისი. ეხება რა გაზეთ „დეილი ჰერალდ"-ის ცნობას, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას, „მორნინგ პოსტ"-ი სწერს, რომ ინგლისელი ვაჭრები უარს ამბობენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე, რადგან ბოლშევიკებში პირველ ყოვლისა ხედავენ პროპაგანდისტებს. გაზეთის სიტყვით, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია იქონიოს ინგლისის ბანკიდან კრედიტის მიღების იმედი, რამდენად უტყუარი საბუთებით მტკიცდება, რომ უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირს დაუხარჯავს ბულგარეთში 500,000 გირვანქა სტერლინგზე მეტი იქაური კანონიერი წესწყობილების დამხობის მიზნით.

განიარაღების გარშემო

განიარაღების საკითხი და შვეციელი შემთანხმებლები.

სტოკჰოლმი 26 მაისი. სამი დღის კამათის შემდეგ რიკსტაგში შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ ზედა პალატამ 85 ხმით 60-ს წინააღმდეგ და ქვედა პალატამ—137 ხმით წინააღმდეგ 86-სა მიიღეს თავისუფალ მოაზროვნეთა და სოციალ-დემოკრატების კომპრომისული პროექტი შეიარაღების შემცირების შესახებ. არსებითად კომპრომისი წააგავს თავისუფალ მოაზროვნეთა ძველ პროექტს.

კონსერვატორები ილაშქრებდენ პროექტის წინააღმდეგ და აშინებდენ პალატას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე მითითებით. სოციალ-დემოკრატები ამტკიცებდენ, რომ დემოკრატიის პროექტი შეეფერება ქვეყნის რესურსებს და იცავს შვეციის ინტერესებს არა ნაკლებ, ვიდრე კონსერვატორების პროექტი. კომუნისტებს მოჰყავდათ ცნობები ფრუნზეს სიტყვიდან წითელიარმიის შესახებ და ამხელდენ სოციალ-დემოკრატების შემთანხმებლობას.

ამუნდსენი დაიღუპა?

ოსლო. 26 მაისი. ნორვეგიაში დიდი მღელვარებაა იმის გამო, რომ ცნობები აღარ მოდის ამუნდსენის ექსპედიციისაგან, რომელიც გაფრინდა 21 მაისს ორი ჰაეროპლანით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ტროცკის დანიშვნა

მოსკოვი. 27 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ 26 მაისის სხდომაზე გამოიტანა დადგენილება ამხ. ტროცკის მთავარ საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარედ და საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად დანიშვნის შესახებ.

იაპონიის საგანგებო ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი. 27 მაისი. იაპონიის მთავრობამ იაპონიის საგანგებო სრულუფლებიან ელჩათ საბჭოთა კავშირში დანიშნა ტანაკა ტოკიჩი.

ტანაკამ დიპლომატიურ კავშირში გაატარა 26 წელი. იგი იაპონიის პრესის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს წარმოადგენს.

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინი

ბერლინი. 26 მაისი. საყოველთაო ხმის მიცემის დროს ავტობუსთა მუშებმა დიდის უმრავლესობით დაადგინეს დაიწყონ გაფიცვა, როგორც კი გამოირკვევა მიწის ქვეშა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ხმის მიცემის შედეგები.

რა ხდება რეინის ოლქში

ბერლინი. 26 მაისი. შტრეზემანის ორგანო „ცაიტმა" გამოაქვეყნა დორტმუნდიდან მოსული ცნობა იმის შესახებ, რომ მეტად გაცუდდა ოკუპანტების დამოკიდებულება მცხოვრებლებთან; ეს გარემოება გამოიწვია რეინის ოლქის გერმანიის კუთვნების 1000 წლის დღესასწაულმა. ცნობაში აღნიშნულია, რომ გახშირდა პასპორტების მოულოდნელი კონტროლი და დაპატიმრებანი სულ უბრალო საქმეებისათვის.

„სრული კეთილსინდისიერებით"

პარიზი, 26 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს სიტყვა წარმოსთქვა ბრიანმა; მან განაცხადა, რომ საფრანგეთი მტკიცე პოზიციას ადგას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება მის უშიშროებას და გერმანიის მიერ განიარაღების ვალდებულებათა დარღვევას. საფრანგეთმა საკმაოდ დაამტკიცა თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ, რომ „სრული კეთილსინდისიერებით" აწარმოოს მოლაპარაკება გერმანიასთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, რაც შესაძლებელია მხოლოდ წინად დადებულ საზავო ხელშეკრულებების ფარგლებში.

რაც შეეხება საფრანგეთის დავალიანებას, ბრიანი ამტკიცებს, რომ საფრანგეთი არასოდეს არ ფიქრობდა უარი განეცხადებინა ამერიკისათვის თავის ვალების გადახდაზე და რომ მთავრობამ მიანდო ორ თავის წევრს სასწრაფოდ შეისწავლოს ეს საკითხი.

მატაიას განცხადების წინააღმდეგ

ვენა. 26 მაისი. ავსტრიის სამრეწველო წრეებში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მატაიას სიტყვამ; საბჭოთა კავშირის ვენის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა შერეულ საზოგადოებებიდან ღებულობს მატაიას განცხადების საწინააღმდეგო წერილებს.

ავსტრიის მრეწველთა კავშირის 17 წევრმა 26 მაისს განუცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი მატაიას სიტყვის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს ავსტრია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობაზე.

ვენის გაზეთი „შტუნდე" აღნიშნავს, რომ მატაიას სიტყვას შეუძლია სავაჭრო ურთიერთობის დარღვევა საბჭოთა კავშირთან; ეს გამოიწვევს საბჭოთა შეკვეთების მოსპობას, რასაც მოჰყვება 40,000 მუშის ულუკმაპუროდ დარჩენა.

იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების რეგისტრაცია

პარიზი. 26 მაისი. იაპონიის მთავრობამ ერთა ლიგის მთავარ მდივანს წარუდგინა რეგისტრაციაში გასატარებლად იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია ა. წ. იანვარში ქ. პეკინში.

დე-მონზის ადგილზე.

პარიზი. 26 მაისი. გაზეთების ცნობით ერიოს მთავრობის ყოფ. წევრი ვიქტორ დალბიე დანიშნულია დე-მონზის ადგილზე „რუსეთის საქმეების" შესახებ არსებულ მთავრობის კომისიის თავმჯდომარედ.

ასი უკრაინელის პროცესი.

ვარშავა. 26 მაისი. 26 მაისს როვნოში დაიწყო პროცესი ასი უკრაინელისა, რომელთაც ბრალდებათ აჯანყების ორგანიზაციის წევრობა. გამოწვეულია 500 მოწმე. ბრალდებულთა და მოწმეთა შორის ბევრი არის პროვოკატორი და პოლონეთის „ოხრანკის" წევრები. ერთერთმა მათგანმა, ვინმე გორნაკომ განაცხადა, რომ, თითქოს, ორგანიზაციის კავშირი ჰქონდეს კომპარტიასა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან.

გლეხთა აჯანყება.

ვენა, 26 მაისი. რუმინეთის ოლქ კირპენში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ მიწათმოწყობის გატარების დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენის გამო. შეიარაღებულმა გლეხებმა დაიკავეს კალუგარონის ახლო მდებარე სათიბები. შეტაკება მოხდა გლეხებსა და ჟანდარმებს შორის; დაიჭრა 15 გლეხი ჟანდარმებმა დააპატიმრეს მრავალი გლეხი და სასტიკად სცემეს, ამას გარდა მათ გაანადგურეს გლეხების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

კაიოს პროგრამა

პარიზი, 26 მაისი. დეპუტატთა პალატაში კაიოს მიერ შეტანილი ფინანსიური პროექტით გათვალისწინებულია გადიდება შემოსავლის კვალობაზე არსებულ გადასახადისა და თამბაქოს ფასების აწევა. ამ პროგრამას თანაგრძნობით შეხვდა ყველა ბურჟუაზიული მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები.

წყლის ნაყვა

პარიზი. 26 მაისი. ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე, რომელიც ჟენევაში გაიხსნა, დაიწყო კამათი ბიუროს თავმჯდომარის ალბერ ტომას მოხსენების გარშემო.

მერტენსმა—ბელგიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა და ამსტერდამის ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბიუროს მუშური ჯგუფი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მთავრობათა წარმომადგენლების მოსალოდნელ თათბირს, რომელიც განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ რვა საათის სამუშაო დღე გატარებული იქნეს საკანონმდებლო წესით.

ინგლისის შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისში რვა საათის სამუშაო დღე გატარებულია ყველგან, მაგრამ მთავრობა ელის შრომის მინისტრთა თათბირის შედეგებს, რომ დაამტკიცოს ვაშინგტონის შეთანხმება.

ბულგარეთის იუსტიციის მინისტრი ბობოშევსკი ამტკიცებდა, რომ ბულგარეთის მთავრობამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა სოციალური კანონმდებლობის სფეროში.

საფრანგეთის შრომის რეფორმისტული კონფედერაციის ბელადი ჟუო დაკმაყოფილდა პროტესტით ვაშინგტონის შეთანხმების დამტკიცების დაგვიანების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ეს გარემოება მნიშვნელობას უკარგავს შრომის საერთაშორისო ბიუროს არსებობას.

ინგლისელი მუშა დელეგატი შეუერთდა ჟუოს განცხადებას.

გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი დაკმაყოფილდა განცხადებით იმის შესახებ, რომ გერმანიაში მზადდება ახალი კანონმდებლობა შრომის შესახებ.

ბელგიაში ვერ შეადგინეს მთავრობა

პარიზი, 26 მაისი. ლიბერალი მაკო - ბრიუსელის ბურგომისტრი, რომელმაც უარი სთქვა საქმიანი კაბინეტის შედგენაზე, სცდილობს შეადგინოს მთავრობა სამი პარტიის წარმომადგენლებისაგან. ეს კომბინაცია განწირულია სასიკვდილოთ, რადგან კათოლიკები და სოციალისტები, უეჭველათ უარს იტყვიან ამ კაბინეტში მონაწილეობაზე.

ალბათ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საბოლოო ანგარიშში შედგენილი იქნება მთავრობა კათოლიკებისა და სოციალისტების წარმომადგენლებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში პალატის დათხოვნა აუცილებელია.

არსრაიკომი იუწყება: შაბათს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში შესდგება პარტწევრებისა და კანდიდატების სარაიონო კრება.

დღის წესრიგი:

მოხსენება ამხ. ორჯონიკიძისა

„მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ“

დასწრება სავალდებულოა არსრაიონის ყველა პარტწევრებისა და კანდიდატებისათვის.

მდივნის მაგიერ წითლიძე.

იუნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“

ს. კ. პ. (ბ) ცეკას ორგანო

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: 1) ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), 2) მ. ორახელაშვილი, 3) მახარაძე 4) ვ. ბახტაძე, 5) გ. მუშიშვილი

ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება სოფლად პრაქტიკული მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.

ჟურნალი ღირება ერთი თვით 20 კაპ. ერთი წლით 2 მან. ცალკე ნომერი 20 კ. ხელის მოწერა მიიღება გაზ. „ახალი სოფელი“-ს კანტორაში

რედაქციის მისამართი: ს. კ. პ. ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

ნ. 1227—5—1

საბჭოთა საკავშირო ყრილობის შედეგები

ამხ. კამენევის მოხსენება

მოსკოვი. 27 მაისი. 26 მაისს მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომაზე ამხ. კამენევმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამთავრებული ყრილობის დამახასიათებელი თვისება იყო ადგილებიდან ჩამოსულ დელეგატების ფართო მონაწილეობა საკითხების განხილვაში.

შეეხო რა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს, კამენევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა არ უმალავს მასებს საბჭოთა აპარატის ნაკლულევანებებს. **ყრილობის რეზოლიუციებში ამ საკითხის შესახებ აღნიშნულია მთელი რიგი ღონისძიებები საბჭოთა მუშაობის გამოხაცოცხლებლათ, კავშირის განსამტკიცებლათ დეპუტატებსა და მასებს შორის, ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელათ, რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლათ და სხვა.** ყრილობის გადაწყვეტილებას, რომელიც აღნიშნავს მსხვილი მრეწველობის ზრდას და მისი განვითარების ტემპის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის, რადგან ის ქვეყანა, სადაც 20 მილიონი დაქსაქსული გლეხური მეურნეობაა, თუ იქ არ გაძლიერდა საერთო განვითარების ტემპი, შეიძლება გადაიქცეს კოლონიათ, რომელსაც ადვილათ დაიპყრობს დასავლეთის კაპიტალიზმი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია მიღებული იქნეს ყველა ზომები საქონლის ნაკლებობის აღმოსაფხვრელათ; საჭიროა, რომ მოსავალის რეალიზაციის მომენტისათვის საგრძნობი არ იქნეს გლეხობისათვის საჭირო საქონელის ნაკლებობა.

შეეხო რა გლეხთა საკითხს, კამენევმა აღნიშნა, რომ ჩვენ კურსი უნდა ავიღოთ მდიდარ სოფელზე, **რადგან გლეხთა მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდება აუცილებელი პირობაა საქალაქო მრეწველობის პროდუქციის გასადიდებლათ.**

შეეხო რა წითელი არმიის გაძლიერებას, კამენევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყრილობის გადაწყვეტილების თანახმათ, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ უკან არ ჩამორჩენ მტრებს“.

ამხ. კამენევის მოხსენების გამო პლენუმმა დაადგინა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ ფართოთ გააცნოს მოსკოვის საბჭოს, რაიონული საბჭოების და სექციების წევრებს და მოსკოვის და გუბერნიის მთელ მშრომელ მოსახლეობას საბჭოთა სრულიად საკავშირო და სრულიად რუსეთის ყრილობების გადაწყვეტილებები.

პროფდემოკრატია საბჭ. კავშირში

ამხ. ტომსკის მოხსენება

ლენინგრადი, 26 მაისი. 25 მაისს პროფკავშირების საგუბერნიო ყრილობაზე სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. ტომსკიმ** გააკეთა მოხსენება, რომელიც გრძელდებოდა სამი საათი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ მიერ მიღებული შედეგები იმდენად დიდია, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს ვაწარმოოთ თვითკრიტიკა.

„პრინციპიალური მოსაზრებების სფეროში — სთქვა ტომსკიმ — ჩვენ არაფერი არ გვაკლია. ჩვენი ყრილობების რეზოლიუციები უნაკლოა, მაგრამ ადგილებზე ისინი არ ტარდება ისე კარგად, როგორც ჩვენ ჩვეულებრივ ვფიქრობთ. ადგილებზე ხშირად ძალაშია დარჩენილი სამხედრო კომუნიზმის ნაშთები. ჩვენში არის პროფესიონალისტების ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული კასტის შექმნის საშიშროება; **ასეთ პროფესიონალისტებს მეტათ კარგი დამოკიდებულება აქვთ ტრესტების დირექტორებთან და გამგეობებთან, მაგრამ ისინი მოწყვეტილი არიან მასებისაგან.**

ჩვენ უნდა შევსცვალოთ არჩევნების წესი. თუ ჩვენ სოფლად მივისწრაფით არჩევნების თავისუფლებისაკენ, მაშინ რა საბუთი გვაქვს ჩვენ ნდობით არ მოვეპყრათ მუშათა კლასს, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა სიმშილობა, სიცივე, სამოქალაქო ომი, ეპიდემია და მაინც ერთგული დარჩა საბჭოთა ხელისუფლების?

შემდეგ ტომსკი დიდ ყურადღებას აქცევს საკითხს პროფკავშირთა თანხების გაფლანგვის შესახებ. ეს ყველაზე უფრო საძაგელი და სასირცხვო მოვლენაა პროფესიონალისტთა წრეში. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი თვით გაფლანგვა კი არ არის, არამედ დაუშვებელი გულგრილი დამოკიდებულება მფლანგველებისადმი, რომელსაც იჩენენ პროფკავშირები და თვით მუშები.

გადავიდა რა კულტურულ-განმანათლებელ საკითხებზე, ტომსკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით აღებული იქნეს კურსი მუშათა კლუბების მუშაობის გაცხოველებაზე; კლუბი უნდა გადაიქცეს მუშების დასასვენებელ და გასართობ ადგილად. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დასაფლავებული იქნეს ცოცხალი გასართობების გაკიცხვა ზოგიერთი კომუნისტების მხრიდან და **დაშვებული იქნეს კლუბებში ცეკვა, სათამაშოები და გართობა—ყველაფერი ის, რაც შეეფერის ცოცხალ, ჯანსაღ ადამიანს.** ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირი უნდა იყოს მუშური არა მარტო ფაბრიკაში და ქარხანაში, არამედ ფაბრიკის და ქარხნის გარეთაც.

პარტიული ცხოვრება

სოფლად პარტიაში ახალი წევრების მიღების შესახებ

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების წინსვლასთან ერთად, განსაკუთრებით დღეს, როდესაც სოფლის მეურნეობა გაჯანსაღების გზაზე არის შემდგარი, ჩვენ ვამჩნევთ სოფლის ფართო მასების, მშრომელი გლეხობის აქტივობის ზრდას. აი აქ პარტიის მორიგი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ გლეხობის ეს აქტივობა გამოყენებულ იქნას სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ, თვით მშრომელთა კეთილდღეობისათვის. მეორეს მხრით სოფლის პარტორგანიზაციის მორიგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხობის საუკეთესო რევოლიუციონური ნაწილი ჩაბმული იქნეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების რიგებში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად საერთოდ პარტიაში ახალი წევრების მიღების საქმე არ არის ჯერ კიდევ სათანადო დონეზე დაყენებული და ზოგან ახალი წევრების მიღება სრულიადაც შეწყვეტილია. ამას ხელმძღვანელმა პარტორგანოებმა აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციონ.

პარტიის მეთოთხმეტე კონფერენციის რეზოლიუციაში აღნიშნულია: „საჭიროა სოფლის პარტიული ორგანიზაციების შევსება სოფლის რევოლიუციონურად მტკიცე და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მშრომელებით: მოჯამაგირეებით და ღარიბი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილით“. ახალი წევრების მიღების დროს მშრომელი ელემენტების ზემოაღნიშნული შერჩევა აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა პარტკონფერენციის დადგენილების თანახმად, იმ მიზნით, რომ მშრომელ ელემენტებს არ გაუძნელდეთ პარტიაში შესვლა, რეკომენდაციის მიმცემ წევრთა რიცხვი შემცირებულია ორამდე, ორწლიანი პარტიული სტაჟით.

პარტიის ახალი წევრების მიღებას კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა ახლავს თან.

ვსთქვათ, გლეხმა პარტუჯრედის ბიუროში შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. განცხადების გარჩევის საქმე, მაშინ როდესაც ამას სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები არ ელობება წინ, ჭიანურდება კვირეების და ხშირად თვეების განმავლობაში. განცხადებისადმი ამგვარი გულგრილი მოპყრობის გამო გლეხს ხშირად გული უცრუვდება პარტიაში შესასვლელად.

საქმის ასეთ გაჭიანურებას და საერთოდ ამგვარ ტეხნიკურ დაბრკოლებებს პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს ბოლო უნდა მოეღოს.

კ.—ლი.

კომუნისტური ახალგაზრდობის მორიგი ამოცანები ზაფხულის პერიოდში

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობა, რომლებიც მუშფაკებში, პარტიულ სკოლებში და კომუნისტურ უნივერსიტეტში მეცადინეობენ, თავიანთ სოფლებში დაიშლებიან.

კომუნისტური ახალგაზრდობა ერთი ძლიერი ძალაა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლად სოციალისტური აღმშენებლობის გაღრმავებას და სოფლისა და ქალაქის კიდევ უფრო დაახლოვებას.

მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში სათანადო ცოდნით შეიარაღებული კ.-მ. ახალგაზრდობა მოვალეა ჩვენი ჩამორჩენილი სოფლები კულტურულად წინ წასწიოს და ადგილობრივ გააღრმავოს პარტიული მუშაობა. უფრო მეტიც, ამ ზაფხულის პერიოდში მან უნდა გამონახოს, ჩამოაყალიბოს და სათანადოთ მოამზადოს ახალი კადრი გლეხობისა, რომელიც უნდა შეიქნეს მათ მიერ დაწყებულ მუშაობის გამგრძელებლად სოფლად.

ერთ-ერთ ძირითად პირობას ჩვენი კურსანტების სოფლად ნაყოფიერი მუშაობისას წინასწარ მათ მიერ თვით სოფლის სათანადო შესწავლა წარმოადგენს. სოფლის ცხოვრების რა დარგშიაც არ უნდა მიუხდეს მუშაობა კურსანტს, თუ მან ვერ მოახერხა გლეხის სატკივარის გაგება, მისი გულის სიღრმეში ჩახედვა—თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუშაობა შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

რა აწუხებს დღის ჩვენს გლეხობას?

კულტურული ჩამორჩენილობა, რომლის სიმძიმის ქვეშ დღესაც მძიმედ იზნიქება გლეხის ოჯახი, სოფლად საბჭოთა აპარატის მოუწყობლობა, საგადასახადო პოლიტიკა, მიწად მოწყობის უკეთ დაყენება, მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხი და რაც უმთავრესია სოფლისა და ქალაქის მეტი მჭიდრო დაახლოება სოფლად მუშაობის პროცესში კურსანტებმა ყველა ამ საკითხებზე სათანადო ახსნა-განმარტება და შესაფერისი ღონისძიება უნდა გამონახონ, რათა შევსძლოთ სოფლის გასაჭირის შემსუბუქება

ერთი დიდი საკითხი, რომელსაც სამწუხაროთ ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, ეს არის ხელის შეწყობა ძველი ყოფა-ცხოვრების ნანგრევებზე ახალი ყოფის დამკვიდრებისა. ამ ფრონტზე მუშაობის დროს თავიდან უნდა აცილებული იქნას წარსულში ჩადენილი შეცდომები (მაგ. სარწმუნოების საკითხში) და განსაკუთრებული სიფრთხილითა და ამავე დროს ერთგვარი მოხერხებული მიდგომით უნდა დავარწმუნოთ ჩვენი გლეხკაცობა მთელ რიგ ძველ ჩვეულებათა უვარგისობაში, მაგრამ როცა ძველს ანგრევ, ახლის მიცემა უნდა შეგეძლოს—ამიტომ თვით კურსანტებს გარკვევით უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი ის ახალი, რომელიც ძველის ნანგრევებზე უნდა აშენდეს.

მუშაობის სურვილით გაელენთილი ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობის სათანადო გამოყენება ზაფხულის არდადეგებზე—სოციალისტური აღმშენებლობის გაღრმავების და სოფლისა და ქალაქის დაახლოვების ერთ-ერთი პირობაა.

ა. ქ—ძე.

ადგილობრივ საგადასახადო პრაქტიკაში თვითნებობა აღმოფხვრილ იქნება

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარული წერილი

ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციებს

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან ერთად მოახდინა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ბაზრებზე გლეხების მიერ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების პირობების გამოკვლევა. გამოკვლევა შეეხო: საქართველოში—თბილისს, ქუთაისს, ხონს, სამტრედიას, გორს, თელავს, სიღნაღს, ბოლნის-ხევს, ანაგასა და გურჯაანს; აზერბეიჯანში—ბაქოს, განჯას, ყაზახს, აგდამს, აგდაშს, ბარდის; სომხეთში—ერევანს, ლენინაკანს, ვაგარშაპატს. რესპუბლიკების სა ახტო ქალაქების გამოკლებით, გამოკვლევამ ყველგან ცხადჰყო აღმაშფოთებელი თვითნებობის სურათი ადგილობრივ საგადასახადო პრაქტიკაში, როცა დარღვეულია „ადგილობრივ ფინანსთა შესახებ დებულების“ ყველა ნორმები და წესები. ეს დარღვევა გამოიხატება გლეხებზე უკანონო გადასახადების გაწერაში. ამ გადასახადების ნორმები 5, 10-ჯერ და უფრო მეტად სჭარბობენ კანონით დაწესებულ ნორმებს. აი მაგალითებიც:

1. საქართველოში ქალაქებში და ბაზარზე საქონლის გასაყიდათ მორეკის დროს საჭიროა, რათა გლეხმა წინასწარ აიღოს ადგილობრივ ოლმასკომისაგან მოწმობა, რომ საქონელი ნამდვილათ მას ეკუთვნის. მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს საქონლის განსაკუთრებული ნიშნები. ამ მოწმობებში გლეხებს ახდევინებენ ერთი მანეთიდან ორ მანეთ და 25 კაპეიკამდი. ეს გადასახადი შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 25 კაპ. საკანცელარიო ხარჯი და 1 ან 2 მანეთი სადღებო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწმობების გაცემის დროს ფასის გადახდევინებაში მეტად დიდი სიჭრელე არსებობს: ზოგიერთ თემებში სრულიად არაფერს არ ახდევინებენ, ზოგან ახდევინებენ 1 მანეთს, ზოგან 1 მ. 20 კ. (წყალტუბო), ზოგან—1 მ. 25 კაპ., ზოგან 2 მანეთს (თელავის), ზოგან კიდევ 2 მ. 25 კაპ. (ქუთაისის მაზრა).

ჩვეულებრივ, ფაქტიურად ყველაზე უფრო გავრცელებული განაკვეთია—1 მ. 25 კაპ. ეს მოწმობები შემოღებულია ნაქურდალი საქონლით ვაჭრობასთან ბრძოლის მიზნით.

2. გადასახადი ბაზარზე გარეკილ საქონელზე. მსხვილფეხა საქონელზე ახდევინებენ საშუალოდ 50 კაპ., კახეთის გამოკლებით, სადაც თითეულ მსხვილფეხა საქონელზე ახდევინებენ ერთ მანეთს; საშუალოზე—20 კაპ. (კახეთში - 50 კაპ.) და წვრილფეხაზე—10 კაპ. (კახეთში—20 კაპ.).

ადგილობრივი აღმასკომები ძირიანად არღვევენ კანონს —ახდევინებენ გლეხებს კანონით დაკანონებულზე 5—6 ჯერ, კახეთში კი 10 ჯერ მეტს.

3. გარდა ამისა საქონელზე შემოღებულია კიდევ ორგვარი გადასახადი:

ა) გადასახადი საქონლის საბეითლო-სასანიტარო დათვალიერებისათვის, საბეითლო-სასანიტარო ფონდის გასაძლიერებლად და

ბ) საქალაქო გადასახადი მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის იმ დროს, როცა მრავალ ადგილებში (სამტრედია, ხონი და სხვაგან) **არ მოიპოვება მიკროსკოპები.**

4. აზერბეიჯანში გლეხებს ურემზე და აქლემზე 5—10 კაპ. ნაცვლად ახდევინებენ 20—30 კაპ.

5. იქვე ახდევინებენ გადასახადს აწონვისათვის პროდუქტის ღირებულების 2 პროცენტის რაოდენობით, რაც დაახლოებით ერთ ფუთ ბრინჯზე უდრის 10 კაპ. და 1 ფუთ ნიგოზზე 10 კაპ., იმ დროს, როცა ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ფუთზე 1—2 კაპ.

6. აგდამში გადასახადის შემკრებ აგენტებს დაევალა თავისი შეხედულების მიხედვით გამოერკვიათ, თუ ვის რამდენი უნდა გადაეხადა ბაზარზე შემოსვლისათვის—40 კაპეიკიდან 1 მანეთის ფარგლებში.

7. იყო შემთხვევები ისეთი თავგასულობის—საგადასახადო თვითნებობის, როცა გლეხებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ფული ამ გადასახადის გასასტუმრებლად, ართმევდენ ზედა ტანისამოსს და ქუდებს (აგდამში).

8. ასეთივე სურათი იყო სომხეთშიც. გზაზე საქონლის გარეკვის დროს ახდევინებდენ საბეითლო გადასახადს —1 მანეთს თითო სულ პირუტყვზე, რაც 4-ჯერ აღემატება კანონით დაწესებულ ნორმას.

9. იქვე, წინააღმდეგ ყოველგვარი კანონმდებლობისა, ადგილობრივი საფინანსო განყოფილებები დამატებით ახდევინებენ ქალაქის ბაზარზე 50 და 10 კაპ. თითო სულ პირუტყვზე და სხვა.

ყოვლად შეუძლებელია უკანონო მრავალრიცხოვანი გადასახადების მოთმენა და ისინი დაუყოვნებლივ უნდა იქნან აღმოფხვრილი ადგილობრივ საგადასახადო პრაქტიკიდან. ადგილობრივი აღმასკომები, ისე როგორც სამაზრო საფინანსო განყოფილებები და ფინინსპექტორები შოვაკალბი პასუხისმგებელი უნდა იყონ კანონების ყოველგვარ დარღვევისათვის ამ დარგში.

რ. კ. პ. (ბ.) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღიარებს, რომ ამ სისაძაგლეს მაზრების ადმინისტრატიულ-ფინანსიურ პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ სუსტი იყო ზედამხედველობა სამაზრო აღმასკომების და პარტკომების, ისე როგორც სამაზრო საფინანსო განყოფილებების, რომლებიც არ ღებულობენ ზომებს, რათა გლეხებისათვის ფართეთ გაეცნოთ—თუ რა რაოდენობით არის დაწესებული გადასახადები მთავრობის მიერ. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიუთითებს რომ აბსოლიუტურად დაუშვებელია ადგილობრივ გადასახადთა იჯარით გაცემა კერძო მოიჯარადრეებზე, რასაც ადგილი აქვს ხონში და სხვაგან.

ამ უკანონობათა საბოლოოთ აღმოსაფხვრელად, ამიერ-კავკასიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი „ადგილობრივ ფინანსთა დროებითი დებულების“ დარღვევათა აღკვეთის ზომების შესახებ, რომელსაც დართული აქვს ნუსხა კანონით დაწესებულ გადასახადებისა მათი რაოდენობის სისწორით აღნიშვნით.

ამიერ-კავკასიის ყველა პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან:

1. სასტიკად ადევნონ თვალყური დებულებაში ჩამოთვლილ ყველა ნორმების ცხოვრებაში ნამდვილად გატარებას.

2. მიიღონ ზომები, რათა გლეხობა ფართედ გაეცნოს—თუ რა და რა სახის გადასახადები რსებობს და განსაკუთრებით კი რა რაოდენობით არის დაწესებული.

3. თავის დროზე აცნობონ სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს ზემოთ აღნიშნული დეკრეტის და „დროებითი დებულების“ ყოველგვარი დარღვევის და კანონის დამრღვევთა სასტიკ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რათა ძირიან-ფესვიანად მოსპონ გლეხობაზე გაწერილი ყოველგვარი უკანონო გადასახადები და მოაწყონ ადგილობრივ პატიოსანი და გლეხობის საჭიროებისადმი ფხიზლად თვალყურის მდევ ებელი ადმინისტრატიული აპარატი. ეს იქნება ილიჩის მიერ გლეხობის მიმართ ნაანდერძევ მოვალეობის და მეთოთხმეტე პარტკონფერენციის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ გამოტანილ დადგენილებათა საუკეთესო შესრულება.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი
ს. ორჯონიკიძე.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ა.|კ. ს. ფ. ს. რ ის სახალხო კომისართა საბჭოსი

1925 წლის 27 მაისი

„ადგილობრივ ფინანსების შესახებ დროებითი დებულების“ დარღვევათა აღკვეთის ზომებზე

თანახმად დროებითი დებულების ადგილობრივ ფინანსების შესახებ და მასში შეტანილ შესწორებებისა, რომელიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ 1924 წ. 23 ოქტომბერს, **ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა | კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

1) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რათა დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქნეს ადგილებზე გადასახადების უკანონოდ აკრეფა და ადგილობრივ აღმასკომებს დაევალოთ გადასახადების აკრეფის დროს იხელმძღვანელონ „დროებითი დებულებით ადგილობრივ ფინანსების შესახებ“ და მასში შეტანილ შესწორებებით, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ 1924 წლის 29 ოქტომბერს.

ბ) წინადადება მისცენ აღმასკომებს დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ადგილებზე ამჟამად არსებულ უკანონო გადასახადების აკრეფა, რომელიც ეწინააღმდეგება მე-40-ე მუხლს „დროებითი დებულებისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ“, აგრეთვე იმ გადასახადებისაც, რომლებიც აღემატებიან ამ დროებით დებულებაში აღნიშნულ უმაღლეს განაკვეთებს.

გ) წინადადება მიეცეს აღმასკომებს ამიერიდან აღარ შემოიღონ ისეთი გადასახადები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „დროებით დებულებაში ადგილობრივ ფინანსების შესახებ“, ან აღემატება ამ დროებით დებულებაში გათვალისწინებულ უმაღლეს განაკვეთებს, მაგალითად: 1) ერთჯერადი გადასახადის უკანონოდ გადახდევინება გლეხების მიერ ბაზარზე გამოყვანილ საქონელზე და მათ მიერ ბაზარზე გამოტანილ საკუთარ მეურნეობის სასურსათო პროდუქტებზე (მუხ. 64 „დროებითი დებულებისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ“) და 2) გადასახადების უკანონოდ გადახდევინება მერქანზე იმ განაკვეთებს ზევით, რომელიც დაწესებულია 55 მუხლში „დროებითი დებულებისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ“.

დ) აღმასკომები ვალდებული არიან გამოჰკიდონ თვალსაჩინო ადგილებზე, მაგალითად: ბაზრებზე, მოედნებზე და გადასახადების ჩასაბარებელ ადგილებზე, ცხრილი იმ ადგილობრივ გადასახადების განაკვეთებისა, რომელიც გათვალისწინებულია „დროებით დებულებაში ადგილობრივ ფინანსების შესახებ“.

ე) წინადადება მიეცეს აღმასკომებს, რათა საქონლისა და ნედლ ხორცეულ პროდუქტების საბეითლო-სანიტარულ შემოწმებისათვის გადასახადი არ აღემატებოდეს 1 | 4 პროცენტს მათი ნორმალური შეფასებისა, რომელიც აღნიშნულია 75 და 76 მუხლებში „დროებითი დებულებისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ“.

ნორმალურ შეფასებად ნედლ ხორცეულ პროდუქტებისთვის მიღებულ იქნას ის უმაღლესი ფასები, რომელიც დაწესებულია ამ პროდუქტებზე ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო საქონლის მიმართ—ფასები, დაწესებული იმ კომისიის მიერ, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიის ცაკის 1924 წ. 10 მარტის დადგენილების მიხედვით (კან. კრებ. № 3 მუხ. 57) და რომელშიაც უნდა შედიოდნენ შინა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის და რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციების წარმომადგენლები. საქონლის შეფასება სწარმოებდეს ყოველ 6 თვეზე რესპუბლიკის რაიონების და ზოლების მიხედვით.

საბეითლო-სანიტარულ გადასახადის აკრეფა ნედლ ხორცეულ პროდუქტზე მოხდეს მხოლოდ ერთხელ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია შენიშვნაში დროებითი დებულების 79 მუხლისა ადგილობრივ ფინანსების შესახებ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად უნდა გამოარკვიოს, როგორი მანძილი ჩაითვალოს უშორეს გადასარეკ მანძილად.

2) ა) წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს ბოლო მოუღონ აღმასკომების მიერ სამიკროსკოპო გადასახადების გადახდევინებას ადგილებზე, სადაც არ არის მიკროსკოპიული სადგურები.

წინადადება მიეცეს ა | კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, ფინსახკომს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას დააწესონ უმაღლესი განაკვეთები მიკროსკოპიულ გამოკვლევაზე, საქონლის დაკვლაზე და აწონვისათვის გამოსაღებზე.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შემოიღონ უმაღლესი ნიხრი საბაზრო გადასახადისა ამ გადასახადით დასაბეგრავ ყველა სახის საგნებისათვის.

სავსებით განთავისუფლებული იქნენ სამაზრო გადასახადისაგან გლეხები, რომელთაც მოაქვთ საქონელი თავისი ზურგით ან ტვირთმზიდავ პირუტყვით.

ბ) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკასიის ფინსახკომთან შეთანხმებით, გამოარკვიოს არსებულ ქარხნებში ნედლი სპირტის გაწმენდის წარმოების თვითღირებულება და ამის მიხედვით გამოიმუშავოს მტკიცე ფასი თვითეულ საბიუჯეტო წლისათვის გლეხების მიერ ჩაბარებული ნედლი სპირტის გაწმენდაზე, ცალ-ცალკე რაიონების მიხედვით თვითეული ქარხნისათვის ან ქარხნების ჯგუფთათვის.

გ) დაუშვებლად იქნეს ცნობილი აღმასკომების მიერ შემოღებული სისტემა საბაზრო მოედნების იჯარით გაცემისა და ადგილობრივ გადასახადების აკრეფის კერძო პირთათვის იჯარით გაცემა, ხოლო დადებული ხელშეკრულებები უკანონოდ იქნეს ცნობილი. ადგილობრივ გადასახადების აკრეფა და საბაზრო მოედნების ექსპლოატაცია სწარმოებდეს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოების საშუალებით, თანახმად „ადგილობრივ გადასახადთა დებულების“ მეორე თავისა.

3) ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაარსონ სპეციალური კომისიები, რომლებშიაც შევლენ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები. ამ კომისიებმა უნდა დაათვალიერონ აღმასკომები და გამოარკვიონ, რამდენად სწორად ჰკრეფენ ისინი ყველა სახის გადასახადებს

დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულს გადასახადების უკანონოდ აკრეფის თვითეულ აღმოჩენილ შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პროკურატურას დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად; ეს ამავე დროს უნდა ეცნობოს ა | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსაც.

4) წინადადება მიეცეს იმავე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საშუალებით გამოსცენ განკარგულება იმის შესახებ, რომ სამართლო ორგანოების მიერ საქმეები უკანონო გადასახადების შესახებ გარჩეული იქნეს განსაკუთრებული სისწრაფით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე: ს. ხანოიანი.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ: ნაზარეტიანი

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის მაგიერ: ს. ჯულელი.

დანართი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა

ნუსხა

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა და მათი უკიდურესი განაკვეთი, რაც აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეიძლება შემოღებულ იქნეს სოფლის მოსახლეობისათვის ყველა იმ შეღავათის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების საფუძველზე.

ნომერი რიგზე	ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა სახელწოდება	უმაღლ. უკ. დ. განაკვ. ქ. თბილისისა და ბათუმისათვის და ათი გარეთ უბნებისათ. მან.	კაპ.	დანარჩენი ადგილებისათვის მან.	კაპ.
1.	**ერთგზობითი გამოსაღები:** (64, 65 და 66 მუხლი)				
	1) ხელზე ვაჭრობა ტაბაკით, კალათით, ჭურჭლით ან საქონლის ხელში ტარებით	—	16	—	—
	ბათომი, განჯა და ერევანი	—	—	—	12
	ლენინაკანი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და ტფილისისა, ბაქოს, განჯისა და ერევნის მაზრა	—	—		8
	ყველა დანარჩენი ქალაქი და პატარა ქალაქი, აგრეთვე დაბა „სლობოდა“ და დასახლებული ადგილი, რომელსაც ქალაქის ხასიათი ექნება	—	—		6
	ყველა დარჩენი ადგილი	—	—	—	4
	2) ზიდვით ვაჭრობა (ურემი, ეტლი და სხვ.)—2 პრ. მეორე კატეგორიის სავაჭრო საწარმოა სანახევარწლო პატენტის ფასისა, რაც დაწესებულია ამა თუ იმ ადგილისათვის	—	27	—	—
	ბათომი, განჯა და ერევანი	—	—	—	20
	ლენინაკანი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და ტფილისისა, ბაქოს. განჯისა და ერევნის მაზრა	—	—	—	13,5
	ყველა დანარჩენი ქალაქი და პატარა ქალაქი, აგრეთვე დაბა „სლობოდა“ დასახლებული ადგილი, რომელსაც ქალაქის ხასიათი ექნება	—	—	—	10
	ყველა დანარჩენი ადგილი	—	--	—	6,5

მოძრავი ვაჭრობის ერთგზობითი გამოსაღებისაგან სრულიად განთავისუფლდება ის გლეხი, რომელიც ვაჭრობას ეწევა ბაზარზე, მოედანზე და ვაჭრობისათვის დანიშნულ სხვა ადგილას და რომელიც შემოიტანს საკუთარი მეურნეობის შემდეგ სასურსათო პროდუქტებს:

1) როცა ზიდვით გაიყიდება ქვავი, ხორბალი, სიმინდი და სხვა პურეული მარცვლად და ფქვილად არა უმეტეს ორი ურმისა და აგრეთვე მუხუდო, ოსპი, ლობიო და ცერცვი—არა უმეტეს ერთი ურმისა.

ბურღული: უგრეხელასი, ფეტვისა, ქერისა და შვრიისა, აგრეთვე ბრინჯი და ღომი—არა უმეტეს ერთი ურმისა.

გამომცხვარი პური—არა უმეტეს ერთი ურმისა.

კართოფილი—არა უმეტეს ორი ურმისა; ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო, ხახვი და სხვა ბოსტნეული—არა უმეტეს ერთი ურმისა.

ხორცი—არა უმეტეს ერთი სული მსხვილფეხა საკლავისა და სამი სული წვრილფეხა საკლავისა.

2) როცა ტარებით გაიყიდება: ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი პროდუქტები და აგრეთვე რძის ნაწარმოები, კვერცხი და შინაური ფრინველთა, მებაღეობისა და მეფუტკრეობის ნაწარმოები.

შენიშვნა: ადგილობრივი პირობებისა და გლეხის მეურნეობის წარმოების საშუალებათა მიხედვით ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან ამა დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათი გააფართოოს როგორც ნუსხის შევსებით, ისე დაბეგვრისაგან გასანთავისუფლებელი პროდუქტების უკიდურესი რაოდენობის გადიდებით.

II. გამოსაღები ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა ნედლი პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული შემოწმებისათვის.
(75, 76, 77, 78, 79, 80 და 81 მუხლი).

არა უმეტეს შესამოწმებელი ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა ნედლი პროდუქტის ნორმალური შეფასების ღირებულების 1 | 4 სა.

მაგალითი 1-ლი: თუ ძროხა 60 მან. ღირს—გამოსაღები შეადგენს 15 კაპიკს.

მაგალითი მე 2: თუ ცხვარი 12მან. ღირს—გამოსაღები შეადგენს 3 კაპიკს.

მაგალითი მე-3: თუ ერთი ფუთი მატყლი 8 მან. ღირს—გამოსაღები შეადგენს 2 კაპიკს.

II დანარიცხი სამორე სასყიდლისა ხე-ტყის გამოსახდელი ფონდისათვის.

გადახდევინებულ იქნება სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, ტყის კოდექსის თანახმად, არა უმეტეს სამორე სასყიდლის 10 პროცენტისა ფოთლოვან ტყეში და 15 პროცენტისა—წიწვიან ტყეში.

ზოგიერთი მომსახურეობის სასყიდელი და აღმასრულებელი კომიტეტის მიწების იჯარით აღება.

IV. გამოსაღები მიკროსკოპიული გასინჯვისათვის.
(იხ. ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი). — ბაზარზე გადიდებული ნიხრით

V. საბაზრო გამოსაღები
(იხ. მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი — „ „ „

VI. ოთხფეხი საქონლის დაკვლა
(იხ. მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი) — „ „ „

VII. გამოსაღები აწონვისათვის
(იხ. მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი) — „ „ „

VIII. გამოსაღები მერქანისათვის
(52, 53, 54 და 55 მუხლი)

დასამზადებელი მერქანის ღირებულების ზედნართი შემდეგი რაოდენობით:

ა) 2 პროც. სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებისა და საწარმოსათვის.

ბ) 5 პროც. ყველა დანარჩენი მომხმარებლისათვის.

მაგალითი 1-ლი: თუ ერთი კუბი შეშის სამორე სასყიდელი 6 მანეთია,—გამოსაღები შეადგენს 30 კაპეიკს.

მაგალითი მე-2: თუ 100 კუბიკ. ფუტი სამშენებლო მასალის სამორე სასყიდელი 8 მანეთია,—გამოსაღები შეადგენს 40 კაპეიკს.

XIII. რკინისგზითა და წყალმავალი გზით შემოტანილი და გატანილი ტვირთის გადასახადი.
(69, 70, 71, 72, 73 და 74 მუხლი).

გადახდევინებულ იქნება სადგურებში და ნავთსადგურებში კანონით გათვალისწინებული და რკინისგზის ადმინისტრაციის მიერ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული განაკვეთის მიხედვით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მაგ. **ა. ნაზარეტიანი**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ს. ჯულელი.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

დასაბეგრ სასოფლო მეურნეობათა აღრიცხვა

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო და მიმდინარეობს სასოფლო მეურნეობის დასაბეგრ მეურნეობათა აღრიცხვა. აღრიცხვა სწარმოებს მაზრობლივ და იგი იძლევა შემდეგ სურათს:

ქუთაისის მაზრა.

საღრიცხვო მუშაობა დაიწყო რვა მაისიდან. მთელი მაზრა გაყოფილია სამ რაიონათ. თვითეულ მაზრაში მუშაობა სწარმოებს სამფინგანის თანამშრომელთა მეთვალყურეობით. საქმის ხელმძღვანელთ დავალებული აქვთ, სხვათა შორის, შეკრიბონ ცნობები ადგილობრივ სხვადასხვა კულტურულ მეურნეობების მოსავლიანობის საშუალო ნორმების შესახებ, რომლებიც გამოიყენება შემდეგ მასალათ, მოსავლიანობის ხარისხის გამოსარკვევათ რაიონებში და სოფლებშიაც. არავითარ გაუგებრობას ჯერ-ჯერობით მაზრაში აღრიცხვის დროს ადგილი არ ჰქონია.

გორის მაზრა.

მუშაობა დაიწყო 4 მაისიდან, იგი წარმოებულია ექვს თემში სამფინგანის პასუხისმგებელ თანამშრომელთა ხელმძღვანელობით.

ბორჩალოს მაზრა.

აქ მუშაობა დაიწყო 7 მაისიდან. 15 მაისამდე აღრიცხვა დამთავრდა 90 სოფელში, მცხოვრებთა მთაბარათ გასვლის გამო, კომისიას არა აქვს საშუალება სრული სისწორით აწარმოოს საღრიცხვო საქმიანობა. კომისია აწარმოებს დასაბეგრ ობიექტების ფაქტიურ გასინჯვას. მაზრაში მუშაობა სწარმოებს სამფინგანის თანამშრომელთა ზედამხედველობით და სამაზრო აღმასკომის მიერ მობილიზაციაქმნილ 9 პასუხისმგებელ თანამშრომელთა საშუალებით.

ახალქალაქის მაზრა.

მაზრაში საღრიცხვო მუშაობა დაიწყო 7 მაისიდან და 15 მაისამდე მუშაობა სწარმოებდა 8 სოფელში. ერთ ერთ სოფელში „კულიკანი" ადგილი ჰქონდა დასაბეგრ ობიექტის რაოდენობის დაფარვას, რაც გამოირკვა ფაქტიური შემოწმებით ადგილობრივ. სამფინგანის მიერ თემაღმასკომების თავმჯდომარეებს მიცემული აქვთ წინადადება, რათა დამნაშავე პირები მისცენ პასუხისგებაში.

ზუგდიდის მაზრა.

აქ მუშაობა დაიწყო 8 მაისს, 15-სათვის მუშაობა დამთავრდა 9 სოფელში, სადაც აღრიცხულია 1131 მეურნეობა. გაუგებრობათ და კონფლიქტებს მაზრაში ადგილი არ ჰქონიათ.

სამხრეთ-ოსეთი.

6 მაისს დაწყებული მუშაობა დამთავრდა: ყუმლის, ყორნისის, და ყუდარის რაიონებში. შვიდ რაიონში შესრულებულია მუშაობის 70 პროც., ხოლო ცხინვალის რაიონში მხოლოდ 30 პროც., ამ რაიონის აღმრიცხავის ავადმყოფობის გამო.

ლეჩხუმის მაზრა.

7 მაისიდან—13 მაისამდე მუშაობა დამთავრდა ცაგერის თემის 11 სოფელში.

ახალციხის მაზრა.

8 მაისიდან 15-მდე აღრიცხვა ნაწარმოებია 50 სოფელში. მეურნეთა საერთო რიცხვიდან (203) ობიექტების რაოდენობის დაფარვის გამო პასუხისგებაშია მიცემული 19 მდე. ყველა თემებში ობიექტების გასინჯვის მიზნით დაგზავნილია სპეციალური პირები, მაგალითად ლეპის თემში გაგზავნილია მიწისმზომელი და გაძლიერებული შემადგენლობა საღრიცხვო კომისიისა.

დუშეთის მაზრა.

22 მაისისათვის საღრიცხვო მუშაობა დამთავრდა ჰოპორტის რაიონში, სადაც აღრიცხულია 617 მეურნეობა. აღრიცხვა რამდენადმე შენელებულია მინდვრებში მუშაობის გამო. კობის თემში 22 სოფელში აღნუსხულია 401 მეურნე, ყაზბეგისაში—300. დამთავრდა აღრიცხვა ფასანაურის თემში, სადაც აღნუსხულია 1091 მეურნეობა, მლეთის რაიონში მუშაობა ყოვნდება მდინარეების ადიდების გამო და მცხოვრებთა მთათ გასვლის გამო. ზემო თიანეთის თემის 19 სოფელში ჯერ აღნუსხულია 400 მეურნეობა, თიანეთისა და არტაანის თემებში, სადაც მუშაობა უკვე დამთავრდა აღრიცხულია 950 მეურნეობა. დანარჩენ თემებში მუშაობა მიმდინარეობს ჩქარის ტემპით.

ოზურგეთის მაზრა.

22 მაისისათვის, ერთი კვირის განმავლობაში, საღრიცხვო მუშაობა დამთავრდა 39 სოფელში, კამპანიის დაწყებიდან 71 სოფელში, სადაც აღრიცხულია სულ 15.000 მეურნეობა. აღრიცხულ მიწების რაოდენობა წარსულ წელთან შედარებით, წელს მოგვცემს 20—25 პროც. ნაკლებს, რაც აიხსნება წარსული კამპანიის დროს მიწების შეცდომით აღრიცხვით, როდესაც აღწერები არავისაგან არ ისინჯებოდა. ვინაიდან სოფლებზე მიწები ძალზე დაშორებულია, ფაქტიური გასინჯვები არ წარმოებულა. წელს უკვე მუდმივ მუშაობას აწარმოებს სამი რევიზორ-ინსტრუქტორი, რომლებიც თავ-თავის რაიონში უშუალოთ ხელმძღვანელობენ აღრიცხვას.

ქ.

რადიო-ტელეფონის საქმის გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში

რადიო მოყვარეობის სტიქიურმა განვითარებამ, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისა და სოფლის კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე დასვა რადიო-ტელეფონის საქმის მდგომარეობის გამოკვლევის საკითხი. გამოკვლევის მიზანია ამ საქმის განვითარების გეგმაშეწონილად დაყენება, გადამცემ რადიო-სადგურების მიერ რადიო-ქრონიკების, რადიო-კონცერტების, რადიო-მოხსენებების, რადიო-ლექციების და სხვ. გადაცემის მიზანშეწონილად მოწყობა.

რადიო-ტელეფონის საქმის მომავალი გამოკვლევა გამოააშკარავებს იმ მთავარ დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაციულ ფორმებს, რომელთაც აქვთ (ცენტრალური გადამცემი რადიო-სადგურები, აგრეთვე რადიო-სადგურების და რადიო-მოწყობილობათა საჭიროებას სხვადასხვა ადგილებში; გამოკვლევის საგანი იქნება რადიო-მოყვარულთა საზოგადოებების და ორგანიზაციების მიღწევები სოფლად რადიოს გავრცელების საქმეში და რადიო-ქრონიკის და საზოგადოთ რადიო-გადაცემის იდეოლოგიური მხარე.

გამოკვლევის ობიექტი ამიერ-კავკასიაში იქნება სახალხო კავშირის ოლქი და ამიერ-კავკასიის უფრო განვითარებული რადიო-პუნქტები.

გამოსარკვევ საკითხთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოკვლევის დროს ანალიზს გაუკეთებს მასიური მოთხოვნილების რადიო-საგნების ტრესტის სავაჭრო ბრუნვას გასაყიდ ფასების დაკლების მიზნით, გამოარკვევს, რამდენად ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის საბჭოთა კავშირში დამზადებული რადიო-მიმღები და რამდენად დამაკმაყოფილებელია მათი ღირსება. გამორკვეულ იქნა აგრეთვე, რამდენად ვრცელდება სოფლად რადიო, როგორ ინტერესს იჩენს სოფელი რადიო-ტელეფონის მიმღებ სადგურების მოწყობისადმი; გამოკვეული იქნება აგრეთვე საკითხი, რამდენად აკმაყოფილებს ჩვენს სოფელს ცალკე რადიო-მიმღებთა სისტემა და არის თუ არა საჭირო ხმამაღლა მოლაპარაკეების მოწყობა. გამორკვეული იქნება სამისო საშუალებების წყარო და სხვა.

გამოკვლევა დაიწყება 1 ივნისს და დამთავრდება დაახლოვებით 15 ივლისისათვის.

შრომის დაცვა

პენსიების და დახმარებათა ახალი ნორმა.

სოციალურ დაზღვევაზე აყვანილ პირებისათვის პენსიების და დახმარებათა ნორმების გასადიდებლად და განსამტკიცებლად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა სათანადო ღონისძიება. მიმდინარე წლის პირველ მაისიდან პენსიის და დახმარების ნორმის განსაზღვრას საფუძვლად ედება ამა თუ იმ ადგილის საშუალო ხელფასი წლის ყოველ კვარტალში.

ამგვარად, ყოველ სამ თვეში პენსიების და დახმარების ნორმა, მექანიკურად შეიცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიცვლება მშრომელთა საშუალო ხელფასი ყოველ რესპუბლიკაში. დახმარების მაქსიმალური ნორმა ამიერ-კავკასიაში ა/წ. პირველ მაისამდე უდრიდა 16 მანეთ ნახევარს, ამ ჟამად კი დახმარების მაქსიმალური დონე 45 მანეთამდე ავიდა.

შეღავათი საგარაკოთ გაგზავნილებს

იმ პირებს, რომელნიც იგზავნებიან აგარაკებზე, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, რკინის გზებზე ეძლევათ შეღავათი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ბილეთების რიგ გარეშე მიღება, უპირატესობა ადგილების მიღებაში და სხვა.

შეღავათების მისაღებად საჭიროა სათანადო მოწმობის წარდგენა.

სანატორიუმი აზერბეიჯანელ მუშების და რკინისგზელებისათვის

აზერბეიჯანელ სოციალური დაზღვევის სამმართველო შეუთანხმდა საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს აბასთუმანში აგარაკის იჯარით აღების შესახებ სანატორიუმის მოსაწყობად. სამმართველოს დაეთმო ყოფილი სუმბათოვის აგარაკი, სადაც შენობებს უკეთდება რემონტი. სანატორიუმი ეწყობა 50 ავადმყოფისათვის.

საქართველოს კურორტთა სამმართველოსაგან იჯარით აიღო აგრეთვე ორი შენობა აბასთუმანში რკინისგზის დაზღვევამ სალარომ, რომელიც აბასთუმანში გაგზავნის ავადმყოფ რკინისგზელებს.

სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოზე რუსეთში

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა განაწილა ადგილები საბჭოთა რუსეთში პრაქტიკულ სამუშაოზე გასაგზავნ სტუდენტებისთვის. 182 ადგილიდან საქართველოს ხვდა—79, აზერბეიჯანს—88 და სომხეთს—15

საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესი

მესამე სხდომა

სხდომა იხსნება სრულ 11 საათზე. თავმჯდომარეობს პროფ. ა. ალადაშვილი. დღის წესრიგზე გადასვლამდე თავმჯდომარე რიგს გარეშე აძლევს სიტყვას პროფ. ვირსალაძეს. პროფ. ვირსალაძე ამცნობს კონგრესს სამწუხარო ამბავს იტალიაში გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევარის გრასის გარდაცვალების შესახებ.

პროფესორი მოუწოდებს კონგრესს ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებული გრასის ხსოვნას.

კონგრესის სახელით პრეზიდიუმმა იტალიაში გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „სრულიად საქართველოს ექიმთა მე-3 კონგრესმა 25 მაისის სხდომაზე, მოისმინა რა ნეკროლოგი პროფესორ გრასის გარდაცვალების გამო, ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. კონგრესი უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს რომის უნივერსიტეტს და მშვენიერ იტალიის ყველა სამეცნიერო და საექიმო მოღვაწეებს უდიდესი მეცნიერის და მალარიოლოგის გარდაცვალების გამო და ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის უღრმეს პატივისცემას იტალიის მეცნიერებისადმი.

კონგრესის თავმჯდომარე: პროფ. ა. ნათიშვილი.

მოხსენებები ტუბერკულოზის წამლობის შესახებ.

შემდეგ დღის წესრიგის მიხედვით მოხსენებებს ტუბერკულოზის წამლობის შესახებ აკეთებენ: ექ. ანდრეევა, ექ. ნ. ყიფშიძე, ექ. ტყემალაძე, ექ. თევზაძე, ექ. ანთელავა.

ექ. ანდრეევა ეხება „ტუბერკულოზის წამლობის ბუნებრივი და ხელოვნური წამლობის საკითხს". მომხსენებელი ფართოთ ეხება ჰლექის მკურნალობას ბუნებრივი საშუალებით და აღნიშნავს, რომ საქართველოში, მიუხედავათ მზის და სხვა ბუნებრივ ფაქტორთა სიუხვისა, ასეთი მკურნალობა ჯერ კიდევ არ არის სწორ გზაზე დამდგარი. მომხსენებელი თავის მოხსენებას ათავებს შემდეგი ღირსშესანიშნავი სიტყვებით: „მზიანი საქართველო არ არის ჩემი სამშობლო, მაგრამ ქართული უნივერსიტეტი კი მე შემიძლია ვაღიარო „ჩემ" უნივერსიტეტად, რადგანაც მე მისი აღზრდილი ვარ—და მე ვიმედოვნებ, რომ დადგება დღე, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტი და მასთან, ერთად ყველა ისინი, ვისაც თავისი მუშაობით და მოღვაწეობით შეაქვთ განათლება და სინათლე-სინათლე მეცნიერებისა ქართველ ხალხის მასაში— მოესწრებიან ნეტარ შედეგ თავის მუშაობისას და ჰლექის საზარელი აჩრდილი ქართველ ხალხის ჩაბედნიეროთ დაკარგავს თავის საშინელ ძალას".

ექ. ყიფშიძის მოხსენება ეხებოდა ტუბერკულიოზის წამლობას ქლორ-კალციუმის შეშხაპუნებით.

ექ. ტყემალაძის მოხსენების საგანს შეადგენდა ტუბერკულოზის აქტინოთერაპია, ე. ი. მზის სხივებით წამლობა.

ექ. თევზაძე თავის მოხსენებაში შეეხო ტუბერკულიოზის კვარცის ლამპით წამლობას და მის გავლენას ადამიანის სისხლზე.

ექ. ანთელავა აკეთებს მოხსენებას ფილტვების ტუბერკულიოზის ქირურგიულ წამლობის შესახებ ხელოვნური პნევმოტორაქსით (ე. ი. დაავადებული ფილტვის ფუნქციის გაუქმებით). ექ. ანთელავას ზუგდიდის მაზრაში რამდენიმე შემთხვევა ჰქონია ტუბერკულიოზის ასეთი მკურნალობისა, რასაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყოლია. მის მიერ განკურნებულ ავადმყოფებს ექ. ანთელავა უდგენს კონგრესს შესამოწმებლად.

მოხსენების შემდეგ იწყება გაცხოველებული კამათი.

ბოლოს, თავმჯდომარე პროფ. ალადაშვილი რეზიუმეს უკეთებს მოხსენებებს და კამათს და აღნიშნავს რომ ტუბერკულოზის მკურნალობის დარგში ბევრი რამ ახალი გაუმჯობესებული საშუალება მოეპოვება დღეს საექიმო მეცნიერებას და ეს ყველაფერი საკმაოდ გაშუქებული იქნა დღევანდელ მოხსენებებში ყოველ მხრივ. მაგრამ კონგრესი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბუნებრივი ძალებით ჰლექის მკურნალობას, რასაც ჯერ-ჯერობით მტკიცე საფუძველი არა აქვს ჩაყრილი საქართველოში.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

მეექვსე სხდომა

შემფასებელი კომისიის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. პრიკახიკოვი)

1923 წლამდე ა/კ. რკინის გზაზე არ იყო ნაწარმოების მტკიცე შეფასება. ამ დრომდე რკინისგზა სარგებლობდა 1909 წელს გამომუშავებული შეფასებით, 1923 წელს რკ. გზაზე დაარსდა შემფასებელი კომისია, რომელსაც დაევალა საშუალო ხელფასის გამომუშავება. ადგილობრივ კომისიამ მუშაობა დაასრულა გასული წლის ოქტომბერში,—ხაზზე კი მიმდინარე წლის მარტში. ხაზის დეპოებში მოხდა 25.000 შეთანხმება სატარიფო დარგში. ამ შეთანხმებას სჭირია შესწორება, რომელიც უნდა მოახდინოს პლენუმმა.

კამათი

ამხ. ხიმკოვს კომისიის მუშაობა არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად, რადგან კომისია არ ემყარებოდა ნაწარმოების თვითღირებულებას. მეორე ნაკლი კომისიისა, ორატორის აზრით, ის არის, რომ მთავარ სახელოსნოების ზოგიერთ საამქროებში შესრულებული ზედმეტი ნაწარმოები არ ყოფილა აღნიშნული.

ამხ. გართანოვს საჭიროდ მიაჩნია შეფასების ხელახალი გადასინჯვა თვით დაინტერესებულ მუშების მონაწილეობით.

ამხ. ახლანოვი მოითხოვს, რომ პლენუმისათვის წარმოდგენილი იქნეს თვითეულ ნაწარმოების საშუალო თვითღირებულების ტარიფი, რომელსაც დაემყარება პლენუმი. ამავე საკითხზე ილაპარაკეს ამხ. ამხ. ბადიაროვმა, გრიგორიანმა, გოგიბერიძემ, გოგოლაძემ და სხვ.

მე-7 სხდომა

„ზაკტპო"-ს მუშაობა

(მოხსენებელი ამხ. აკიმოვი)

საზოგადოება „ზაკტპომ", ამბობს მოხსენებელი, თავის არსებობის კრიტიკული პერიოდი გაიარა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საზოგადოებამ შესძლო ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცება. მუშა-მოსამსახურეთა სურსათ-სანოვაგის უზრუნველყოფის მხრივ „ზაკტპო"-ს უჭირავს პირველი ადგილი—სხვა გზათა სატრანსპორტო კოოპერატივებს შორის. მიმდინარე წლიდან რწმუნებულთა მე-5-ე ყრილობის დადგენილებით შეჩერებულია კოოპერატივების ქსელის გადიდება, სამაგიეროთ სწარმოებს კამპანია წევრთა რაოდენობის გასადიდებლად. ამ ხნის განმავლობაში კოოპერაციის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გადიდდა. ნახჩევანის გარეშე რკინისგზის სატრანსპორტო კ. პარტიის წევრად ითვლება რკინისგზელთა საერთო რაოდენობის 100 პროცენტი, სომხეთში—96 პროც., რაც საშუალოდ მთელ ა/კ. რკინისგზელთა 69 პროც. შეადგენს.

გაიზარდა აგრეთვე „ზაკტპო"-ს ძირითადი თანხაც, რომელიც ამ ჟამად 33 ათას მანეთს უდრის, მაგრამ ამ თანხით შეუძლებელია მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილება, ამიტომ „ზაკტპო" სარგებლობს ფართო კრედიტებით, რომელიც ერთს მილიონს მანეთს აღემატება.

„ზაკტპო"-ს თვითეულ დუქანთან მოწყობილი აქვს საპუნქტო-საკონტროლო კომისიები, რომელთა დახმარებით კოოპერაცია უახლოვდება მასას. შემდეგ მომხსენებელი ეხება საქონლის მიწოდების საქმეს მომხმარებელთათვის.

საპაიო თანხის შეკრება კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. საპაიო თანხის 37 პროცენტები ჯერ შეუკრეფელია. ამ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა აპარატის გაცხოველება. დახართი ხარჯები შემცირებულია 10 პროცენტამდე. სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანებში ბოროტმოქმედებები გახშირდა. უკანასკნელ თვეების განმავლობაში გაიფლანგა 25000 მანეთი. ზოგიერთი საკონტროლო კომისია ხელს აფარებს ამ ბოროტმოქმედებებს. ბრძოლა ბოროტმოქმედებებთან უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ მასში არ ჩაერევიან პროფორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელნიც კოოპერაციის საქმეებს რიგიანად არ იცნობენ.

საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსება აუცილებელ საჭიროებათ აღიარა. ამის გამო ჩვენმა თანამშრომელმა დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართა საგეგმო კომისიის სამრეწველო საალმშენებლო სექციის გამგეს ინჟ. ეშ. ალშიბაიას, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

საქართველოში გეოლოგიური დაწესებულების დაარსების იდეა ახალი არ არის. იგი სამთო განყოფილების წრეებიდან გამომდინარეობს და მისი ინიციატორი ამ განყოფილების უფროსი კ. მოდებაძე არის, რომელმაც სახალხო განათლების კომისართან დ. კანდელაკთან ერთად საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენა. ამხ. კ. ს. მოდებაძის მიერ მოწვეულ იქმნა თბილისელი სპეციალისტების და დაინტერესებული წრეების თათბირი, სადაც ინსტიტუტის დაარსების მიუცილებელი საჭიროება ერთხმად აღიარებული იქმნა და მისი დებულების შესამუშავებლად კომისიაც აირჩიეს. ამ კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ სახალხო განათლების კომისარმა დ. კანდელაკმა ამხ. მოდებაძესთან შეთანხმებით მთავრობაში შესაფერი წინადადება შეიტანა. უმაღლ. ეკონ. საბჭოს უკანასკნელი დადგენილება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ დაწყებულების განხორციელება უზრუნველყოფილი არის.

გეოლოგიური საკვლევო ინსტიტუტის დაარსება ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ მისი მთავარი მნიშვნელობა სამეურნეო სფეროში უნდა ვეძიოთ. ჩვენი სამთო მეურნეობისათვის, მიწათ-მოქმედებისათვის, ელექტრო-აღმშენებლობისათვის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მისი მნიშვნელობა დაუფასებელი იქნება და საგეგმო კომისიაც სწორედ ამ მხრივ სთვლის მის დაარსებას გადაუდებელ საქმეთ. თანაც ჩვენი ღრმა რწმენა არის, რომ მხოლოდ ადგილობრივ მომუშავე და ადგილობრივ სამეცნიერო და ეკონომიურ ინტერესებთან მჭიდროთ დაკავშირებული დაწესებულება შესძლებს ამ დარგში სასურველ ნაყოფიერების გამოჩენას.

განათლების ფრონტზე

მოწაფეთა სახლი

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა დაარსოს მომავალ 1925—26 სასწავლო წლიდან მოწაფის სახლი, რომელიც გააერთიანებს როგორც ტერიტორიის, ისე იდეის მხრივ არსებულ ყველა მოწაფეთა ორგანიზაციებს და გაუწევს მათ ხელმძღვანელობას საერთო სახით. ამავე სახლში მოწყობილი იქნება მოწაფეთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და პიონერთა ორგანიზაციების უჯრედები. მოწაფის სახლი თავის განყოფილებებს გახსნის რაიონებში და ჩაუყრის საფუძველს მხარეთ მეტყველების შესწავლას. მოწაფის სახლის მუშაობას ექნება წრეების ხასიათი პროფსაბჭოს განაწილების მიხედვით. თვითეული წრე შეისწავლის სათანადო პროფკავშირის ისტორიას. მოწაფის სახლთან დაარსებული იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მუზეუმი, ტანვარჯიშობის დარბაზი, ფოტოგრაფია, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სტუდიები და სახელოსნოები. სახლი თავის მუშაობას აწარმოებს მოწაფეთა ჰასაკის ინტერესით. სახლის წევრებათ შევლენ მოწაფეები მე-5 ჯგუფიდან. სახლს ექნება თავისი გაზეთი.

ყველა ტიპის სკოლების გამოკვლევა

განათლების კომისარიატმა 26 მაისიდან დაუგზავნა მაზრების განათლების ინსპექტორებს სტატისტიკური ანკეტები და სათანადო ინსტრუქციები ყველა ტიპის შრომის სკოლების გამოსაკვლევათ. ანკეტის საშუალებით უმთავრესად გამოკვლეული იქნება სკოლის მდგომარეობა წარსულში და ამჟამად და აგრეთვე მოწაფე-მასწავლებელთა მექანიკური მოძრაობა.

ისტორიულ მნიშვნელობის ნივთების შეძენა

განათლების კომისარიატის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთ დაცვის განყოფილებამ დაავალა პროფ. გ. ჩუბინაშვილს და შ. ამირანაშვილს შეიძინონ თამარ გრუზინსკაიასაგან საგვარეულო ისტორიული მნიშვნელობის ნივთები.

ქრონიკა

— **სასოფლო-მეურნეობის აღორძინების** მიზნით თბ. სადგილ-მამულო განყოფილება შეუდგა 5 წლიან გეგმის შემუშავებას.

— **ცემენტის მიღება.** ზაქესკომი ამ დღეებში ნოვოროსიიდან მიიღებს 60 ათას ფუთ ცემენტს.

— **სამშენებლო მასალა.** სატყეო მრეწველობის ტრესტი ზაჰესისათვის ამზადებს 140 ათას კვად. ვერშოკ სამშენებლო მასალას.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის** ცნობით ამჟამად საქართველოში თითო ბეითალს მოსავლელი ჰყავს 175 ათასი სული საქონელი, ნორმის მიხედვით კი 1 ბეითალი უნდა უვლიდეს 10 ათას სულ საქონელს.

— **ოსიაურის საშრატე სადგურმა** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაამზადა 244 ლიტრა ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

ა/კ. **სახალხო კომისართა საბჭომ** მიიღო დებულების გეგმა სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნის შესახებ.

— **მეტრიული ზომა.** ა/კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დებულების გეგმა მეტრიულ საზომების ა/კავკასიაში განაწილების შესახებ.

— **შავი ზღვის სანაპირო** რკინისგზის სამუშაოთა უფროსის თანაშემწედ ა/კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა ამხ. თუმანოვი.

— **ყრუ-მუნჯთა საკავშირო ყრილობა.** კვირას, 31 მაისს, დღის 12 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (თეატრის დარბაზში), დანიშნულია ყრუ-მუნჯთა საზოგადო კრება ყრუ-მუნჯთა საკავშირო ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველათ.

— **დახმარება უმუშევრებს.** 29 მაისიდან უმუშევართა დამხმარე განყოფილება შეუდგება ფულადი დახმარების მიცემას იმ უმუშევართათვის, რომელთაც აქვთ წიგნაკები № 32.1 და ზევით.

— **თივა-სესხათ გლეხებს.** ცეკავშირმა სესხათ დაურიგა თიან. მაზრის გლეხებს 45.000 ფუთი თივა.

— **საბიბლიოთეკო გამოფენა.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა საბიბლიოთეკო გამოფენა, რომელიც ღია არის დილის 10-საათიდან საღამოს 8 საათამდი.

ხელოვნება

მსახიობ გ. ტერ-დავთიანცის 50 წლ. იუბილე

ამა თვის 31-ს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრში სომხ. ხელოვნების სახლის—„ხაიარტუნ"-ის ხელმძღვანელობით გაიმართება სომხური სცენის უხუცესი მუშაკის მსახიობ გევორქ ტერ-დავთიანცის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

ნიჭიერი კომიკი დაბადებულია თბილისში—ავლაბარში 25 აგვისტოს 1850წ. და პირველი სწავლა-განათლება მიუღია ნერსესიან სემინარიაში.

ნახევარი საუკუნის წინ, როცა სომხური სცენა ახლად იწყებდა ფეხზე დგომას, როცა თითებზე ჩამოითვლებოდნენ თეატრალური მოღვაწენი, აი ამ დროს ახალგაზრდა ტერ-დავთიანცს აინტერესებს სამშობლო სცენა, ის მთელი თავის ენერგიით ებმევა სომხური თეატრის აღორძინების საქმეში.

მას ვხედავთ მაშინდელ გამოჩენილ სომხ. თეატრალურ [illegible] რიგში, იგი უკვე თვისი თანამშრომლად ითვლებოდა ცნობილ ადამიანების, ასტყიკას, ბხაკიანის, დები გარაქაშების დასში.

თეატრალური საქმით გატაცებული მხნეობით სავსე ტერ-დავთიანცი არ კმაყოფილდება მარტო თბილისით და მას პირველ რიგებში ვხედავთ აგრეთვე პროვინციაში გამართულ სახალხო წარმოდგენებში.

ტერ-დავთიანცი თავისებურ ტალანტით საუკეთესო გამომხატველი იყო და არის დღესაც სუნდუკიანცის მუდამ ცოცხალი ტიპებისა, განსაკუთრებით-კი სომხურ თეატრის ისტორიაში დაუვიწყარი დარჩება მისი „გიქო" პეპო-ში, რომლის განსახიერება უტერდავთიანცოთ წარმოუდგენელია.

მისი ტალანტი და შნო არ განისაზღვრება მარტო სუნდუკიანცის თბილისელ ტიპების გამოხატვით, ნიჭიერი კომიკი მშვენივრათ ასრულებდა აგრეთვე სხვა „ეროვნულ" როლებს. სხვადასხვა პიესებში—როგორც—დობჩინსკი („რევიზორ"-ში), ორგან („ტარტიუფში"), სკაპენ—(სკაპენის ხრიკებში), ბინ-აკიპა (ურიელ-აკოსტაში) და სხვა.

მოხუცებული იუბილიარი დღესაც ისეთივე ენერგიით ემსახურება მელ-პომენის ტაძარს და მიუხედავათ მისი 75 წლისა, დღესაც, როგორც წარსულში, ბევრ ახალგაზრდა მსახიობისათვის თითით საჩვენებელი მაგალითად ითვლება.

უსათუოდ მოხუცი იუბილიარი თავისთავს ბედნიერად ჩასთვლის, რომ მისი 50 წლის იუბილეს ვდღესასწაულობთ თავისუფალ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ხანაში, იმ ხელისუფლების, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, არაფერს არ ზოგავს ხელოვნების აყვავების და განმტკიცებისათვის და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ხელოვნების მოტრფიალე მეზობლებიც სიხარულით შეეგებებიან ამ დღესასწაულს და შეძლების და გვარად მონაწილეობას მიიღებენ ამ კულტურულ ზეიმში.

ა. თუმახიანცი.

კ. ჭიჭინაძის მოხსენება „ვეფხვის ტყაოსნის" შესახებ.

26 მაისს რუსთაველის თეატრში კ. ჭიჭინაძემ მოხსენება გააკეთა „ვეფხვის ტყაოსნის" შესახებ.

პირველ ყოვლისა მან განმარტა „ალიტერაციის" მნიშვნელობა ლექსთწყობაში ეს არის—ერთ და იმავე სტრიქონში ხშირათ ნახმარ თანხმოვან ასოების შემწეობით მუსიკალობისა და შინაგანი ჰარმონიის თავისებურათ და ძლიერათ გამოსახვა.

მომხსენებლის აზრით ასეთი „ალიტერაციები" ყველაზე მრავლათ და ყველაზე ძლიერათ ნახმარია „ვეფხვის ტყაოსანში", რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ ერთი ავტორის დაწერილია.

მოხსენების მეორე ნაწილში ჭიჭინაძემ ხელდახელოთ გააკრიტიკა „ვეფხვის ტყაოსნის" შესახებ გამოქვეყნებული გამოკვლევანი—მარისა, აბულაძისა, კაკაბაძისა, კეკელიძისა, ინგოროყვასი და სხვათა. მან ყველა ეს გამოკვლევანი „სასკანდალო საქმეთ" მონათლა და ყველას მიუსაჯა დაწვა და განადგურება.

მართალია, ჭიჭინაძის მოხსენებაში იყო ზოგიერთი საყურადღებო ადგილი: მაგალითად —ფსიქოლოგიური მომენტები შემოქმედებაში, ფორმის ლოღიკა და მძლავრობა პოეზიაში, ჩვეულებრივ პირობათა გარდალხვა პოეტურ ქმნაში. ესენი უეჭველათ წარმოადგენენ სწორი მიდგომის ერთ-ერთ გზას, მაგრამ ყველაფერ ამას ჭიჭინაძე ისეთი რიხითა და სითამამით გაიძახის, ისეთი გაზვიადებული კილოთი ლაპარაკობს, რომ მსმენელში სტოვებს მხოლოთ უნიადაგო პრეტენზიების შთაბეჭდილებას.

ამასთანავე ზემოჩამოთვლილ მკვლევარების შეხედულობათ შეიძლება ძალიანაც ბევრი არ ეთანხმება, მაგრამ იმათი ნაშრომებისთვის მაინც არ აუხდიათ ულაზათოდ გვირგვინი და „სასკანდალო საქმეთ" არ მოუნათლიათ.

ჭიჭინაძე არავითარ ისეთ ავტორიტეტს არ წარმოადგენს, რომ ესე მსუბუქათ დაახურდავოს ხალხის თვალში უკვე ნდობა მოხვეჭილ მკვლევართა და მეცნიერთა სახელი.

მოხსენების გარშემო კამათი არ გამართულა.

დამსწრე.

— **ცენტრალურ მუშათა** კლუბში დღეს წარმოდგენილი იქნება ლენინის სახელობის კოლექტივის ნორჩ პიონერების თაოსნობით: „ორი კომუნა".

— **„ტარიელ გოლუა" რუსულათ.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ლეო ქიაჩელის რომანი: „ტარიელ გოლუა". თარგმანი ნიკიტინის. გამოცემა „საბჭოთა კავკასიონის".

— **ჩოდრიშვილის სახელობის** კლუბში (პლეხ. პრ.) დღეს წარმოდგენილი იქნება „გაცრუებული იმედი" 2 მოქ. და „წითელი ფერი" 1 მოქ.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„მასი მოწოდება".
— არფასტო—„ორი ობოლი".
— მინიონ—„ქალწული ნიღაბში".
— პალას—„დიადემას გატაცება".
— თვითმფრინავი—„ცდუნება".

შემთხვევები

— **ექიმბაშ მახვილაძის ქალის დატუსაღება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ამხ. კუჭაძის განკარგულებით დატუსაღებულ იქნა ექიმბაშ მახვილაძის ქალი, რომელიც ავრცელებდა ხმებს, რომ თითქოს ჯანსახკომისარიატიდან აქვს მიღებული უფლება ტუბერკულიოზის მკურნალობის, რითაც შეცდომაში შეჰყავდა ხალხი და სწამლობდა მათ მის მიერ მოგონილ საეჭვო ბალახებით

— **ცოლის დაჭრა.** 25 მაისს აკიმოვის ქ. № 32 გიორგი ბალდასაროვმა დანით დასჭრა თავისი ყოფილი ცოლი გოზირიკა. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდი შვილი.** 16 მაისს მოქ. მიკირტიჩ მიქაელიანს თავის შვილმა მოპარა 780 მან. და მიიმალა.

— **ცეცხლი.** 25 მაისს, ბროსეს ქ. № 2, პოლიგრაფიულ ტრესტს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **ქურდობა.** 25 მაისს, სამხედრო სკოლაში მცხოვრებ სილბისტრო მაკარიანს მოპარეს 258 მან. ნივთები.

მუშათა ცხოვრება

პოლიგრაფიული ტრესტის ლიტოგრაფიაში.

(ს. მ. უ. ს. და პროკურორის საყურადღებოდ).

ვერ იქნა და ვერ გამოსწორდა ამ ლიტოგრაფიის საქმე. მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი მოწყობილი ქარხანა ტეხნიკურად არასდროს არ ყოფილა, მაგრამ ამ ქარხანას ნამდვილი გულშემატკივარი პატრონი არა ჰყავს.

ლიტოგრაფიის გამგედ არის დანიშნული გერმანელი ვინმე რეინვალდი, მის თანაშემწედ კი ბუიანოვი, კანტორის მოანგარიშეთ არის ეპშრსკი.

ეს ვაჟბატონები თბილ ადგილზედ არიან მოკალათებული, ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედა-მიწა ქალამნად. სიტყვა ბარაქიანი აქვთ, თავი მოაქვთ სპეცებად, საქმეში კი დაინტერესებულნი არ არიან. მათი ინტერესია საპორის ქუჩაზე „პავლეს" დუქანში ქეიფობა; ალორძინებაზედ ფიქრიც არ მოსდით მათ.

ეს ვაჟბატონები დილის 10 საათზე მობრძანდებიან სამსახურში, ხშირად სულაც არ ინებებენ მოსვლას. ასეთი ჩვეულებისა გახლავთ გამგის თანაშემწე ბუიანოვი. ეს უკანასკნელი კვირაში სამ დღეს მოდის სამსახურში, და მაშინაც არყით გალეშილი.

საჭიროა, ერთხელ და სამუდამოთ მოგვარდეს ლიტოგრაფიის საქმე და ამოდენა ქონებას ლოთ-ხალხს ხელში ნუ ჩაუგდებთ.

ნუ თუ საქართველოში აღარა ჰყავს უფრო გულშემატკივარი ადამიანი?

იქაური მუშა.

მუშას შრომის ხელფასს არ აძლევენ

(„უჩკპროფსოჟის" საყურადღებოდ)

სადგური ქალა დიდის რკინის გზის ლიანდაგზე მუშაობდა დღიურ შემკეთებლათ მუშა [illegible]. გასული წლის სექტემბრის თვეში მას მოუხდა მუშაობა მხოლოდ 12 დღის განმავლობაში. ხელფასის დარიგების დროს ხსენებული მუშა ადგილობრივად არ იმყოფებოდა—ოჯახური მდგომარეობის გამო, ამიტომ მას თავისი ხვედრი ფული დღესაც ვერ მიუღია.

მუშას თავისი შრომის ხელფასი არ უნდა დაეკარგოს.

ინფ. მქუხარე.

ეს დაუშვებელია

(მე-5 რ. შრომის ინსპ. საყურადღებოდ)

„ინვალიდები"-ს წითელი სასადილო „კახეთია"-ში (პუშკინის ქ.) ქვაბის გამხეხავს შალვა გაბიჩვაძეს დღეში 13—14 საათს ამუშავებდნენ და ქირას კი 10 შაურს აძლევდნენ დღეში.

საწყალმა კავშირში ჩაწერა მოინდომა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ გამგემ ეს რომ გაიგო მაშინვე დაითხოვა.

დათხოვნილმა მიმართა შრომის ინსპექტორს, მაგრამ ყურადღება მას არ მიაქციეს. საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი მოვლენა დაუშვებელია.

მუშკორ. ა. ბობოთური.

გამოგზავნილი წერილებიდან

ეს ასე რად უნდა ხდებოდეს

(აღმასკომის საყურადღებოდ)

უბინაობით შეწუხებულმა მივმართე განცხადებით აღმასკომში უძრავ ქონებათა განყოფილებას, მაგრამ ჩემს ნაშოვნ ოთახებში სხვები სახლდებიან.

გამაგებინეთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რომ ბინა მეც მღირსოს

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი,

ასეთი საქციელი დასაგმობია

(განათ. სახკომატის საყურადღებოდ)

სახ. განათლების კომისარიატში მოსამსახურე ქ-ნი იოსელიანი თავისზე დაბალ მოსამსახურეებს წესიერად ვერ ეპყრობა და ხშირათ ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება მათ. უნდა შეიგნოს ქ-ნმა იოსელიანმა, რომ საბჭოთა მოსამსახურეს არ შეშვენის ასეთი საქციელი.

ინფ. ლეჩხუმელი.

მოგვაშორეთ ეს ბინძური ქალები

(მე-10 უბ. მილიც. საყურადღებოდ)

ვაგზლის ქუჩაზე საღამოობით მეძავი ქალები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან და გამვლელებს მოსვენებას არ აძლევენ. საჭიროა მათი გაძევება მომავალ თაობის ჯანმრთელობისათვის.

ინფ. პ. გოგიშვილი.

პროვინციაში

დაწყებულ საქმეს დათავება უნდა

სოფ. ვედიდ-კარი (ბანძის თემი)

შარშან, მგონი მაისის თვეში, ვედიდ-კარის სოფლის მოწინავე ამხანაგებმა, მათ შორის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე ურიდიამ ითავეს მათი სოფლის. ეგრეთ წოდებულ „მახათის", დაახლოვებით 1000 დესეტინა უნაყოფო მიწის დასანოყიერებლად მდინარე ნოღიდან სარწყავ არხის გაყვანა. მათი თაოსნობით მალე შესდგა მუშაობის ტეხნიკური გეგმა და დაინტერესებულ მეურნეებმა შარშანვე მოასწრეს გათხრა დიდ მანძილზე საარხე თხრილისა, შემდეგ მათ მოუსწრო ჭირნახულის აღებამ და მის შემდეგ, შემოდგომა-ზამთრის [illegible] ამინდებმა დაუშალეს მუშაობის გაგრძელება. სამუშაო ცოტაღა დაურჩათ. გასათხრელია თხრილი კიდევ ასოცი საჟენის სიგრძეზე. [illegible] ამ მეთაურებმა მოინდომეს წამოწყებულის დამთავრება მიმართეს ადგილობრივ აღმასკომს მუშების გამოწვევის შესახებ, მაგრამ რამოდენიმე ამხანაგის მუშაობაში ურჩობამ ისეთი გავლენა მოახდინა დანარჩენებზე, რომ მუშების სამუშაოზე გამოყვანა. საშველი ვეღარ დაადგა და წამოწყებული საქმე, რომელზედაც ვედიდ-კარელები ძველი მთავრობების დროს უიმედოთ ოცნებობდენ და რომლის დასრულებას ესაჭიროება უმნიშვნელო შრომა, სულ 500 კაცის ერთი დღის მუშაობა, დროებით მიწყნარებულია. მაგრამ თუ მეთაოსნე ამხანაგები არ აიცრუებენ გულს საზოგადო საქმეზე, თუ თემაღმასკომი გაუწევს საქმეს ხელმძღვანელობას, იმედია ერთი დაკვრით საქმე ადვილათ დამთავრდება და მით ჩვენს უმიწაწყლო გლეხებს ეშველება.

დაინტერესებული.

რა ესაჭიროება ჩვენს სოფელს

სოფ. ტაბახმელა

ტაბახმელაში ცხოვრობს 150-მდე კომლი გლეხი. აქ არ არის კოოპერატივი, რაც დიდ გაჭირვებაში აგდებს ადგილობრივ მცხოვრებლებს. 4-5 თვის წინად კოჯრის რაიგლეხკომი ცდილობდა გაეხსნა კოოპერატიული სასადილო, მაგრამ ეს ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი.

აქ უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს ისეთი კოოპერატივი, სადაც მოტანილი იქნება სოფლისთვის აუცილებელი საჭირო საგნები, როგორიცაა ნავთი, სპიჩკა, საპონი, ძაფი, თამბაქო და სხვა, და არა სასადილო. საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას და სოფელში კოოპერატივის გახსნა იკისროს კოჯრის „ეპო"-მ, ან და თბილისის „მუშკოოპმა".

აგერ მესამე თვეა, რაც თბილის-მანგლისის გზატკეცილზე ტაბახმელის დუქნებთან დაგვპირდენ საფოსტო ყუთის დადგმას დაგვპირდენ აგრეთვე საფოსტო ნიშნების გამოგზავნას, მაგრამ დაპირება, დაპირებათ დარჩა. მართალია წერილები და გაზეთები მოდის კვირაში ორჯერ, რომელიც ადგილობრივი მედუქნის საშუალებით ურიგდება მცხოვრებლებს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა დადგმული ყოფილიყო საფოსტო ყუთი და დაპირებისამებრ გამოეგზავნათ საფოსტო წიგნები.

შ. ლორთქიფანიძე.

მადლობა ასეთ აგრონომს

20 მაისს ნაწილი ქარელის შრომის სკოლის მოწაფეებისა წავიყვანეთ სკრის სახალხო მამულის დასათვალიერებლად. ჩვენი მიზანი იყო ფუტკრის, ბაღის და ბოსტნის კულტურულად მოვლა-მოშენების პრაქტიკულად გაცნობა. მამულის გამგემ ამხ. ა. გამსახურდიამ დიდის სიამოვნებით შეგვისრულა თხოვნა და ბავშვებს წაუკითხა ლექცია ზემოხსენებულ მეურნეობის დარგებიდან. მიუხედავათ იმისა, რომ დატვირთული იყო საქმით, ოთხ საათზე მეტი ესაუბრა ბავშვებს მარტივი და მათთვის გასაგები ენით. არც ერთი სიტყვა ბავშვებისათვის გაუგებარი არ დარჩა. ეს ექსკურსია ძალიან ნაყოფიერი იყო და ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

დიდ მადლობას უძღვნით ამხ. გამსახურდიას როგორც მოწაფეები, აგრეთვე მასწავლებლებიც ასეთი ყურადღებისათვის.

მასწ. ნ. ყორბესაშვილი და
ვ. კეჩხუაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **ახალქალაქის აღმასკომმა** მოაწყო ადგილობრივ გლეხთათვის ცნობათა და წერითი დამხმარე ბიურო, საიდანაც გლეხებს ეძლევათ უფასოთ რჩევა-დარიგება.

— **საგლეხო მეურნეობის აღწერა.** ახალციხის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს საგლეხო მეურნეობის აღწერას.

— **სათემო ერთეულები.** ახალციხის აღმასკომმა დაადგინა მაზრა დაჰყოს 20 სათემო ერთეულათ.

— **შრომის არტელები.** ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს უმუშევარ ინვალიდთ შრომის არტელების მოწყობას.

ახალციხის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე ახალციხის მაზრაზე სოფ. დვირის, საკირეს და ქვაშისხევის მიწერის შესახებ.

— **დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად.** ახალქალაქის სამ. აღმასკომმა დაადგინა ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების—მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის სახელობის სკოლების სასარგებლოთ ფონდის შექმნა.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ალ. მაჭავარიანი. სახელმწ. უნივერსიტ. ფაკულტ. ქირურგ. კლინ. გამგე.

„მუცლის ღრუს ქირურგია“

სახელმძღვანელო მკურნალთა და სტუდენტთათვის.

საქართვ. განათლების სახ. კომისარიატის გამოცემა 1925 წ.

ეს წიგნი შეიცავს 364 გვერდს, 102 ნახატს და 8 ფურცელ ფერად სურათს. იგი დაწვრილებით იხილავს მუცლის ღრუს ქირურგიას და წარმოადგენს ქირურგიის მთლიანი კურსის მე-2 ტომს.

„ვფიქრობ, ახალგაზრდობაში მეცნიერულ ქირურგიულ აზროვნებას ქირურგიის არც ერთი დარგი ისე არ ზრდის და არ ანვითარებს, როგორც მუცლის ღრუს ორგანოების დაავადება-წამლობის სწავლა“-ო,— მოგვითხრობს ავტორი და სწორეთ ამით აიხსნება მე-2 ტომის მოსწრებული გამოცემა, ვიდრე 1-ლი ტომი გამოიცემოდა. მთლიანი ქირურგიის დანარჩენ ნაწილებსაც პატივცემული პროფესორი ახლო მომავლისთვის გვპირდება და სრული იმედია, რომ იგი ისევე პირნათლად შეასრულებს თავის დაპირებას, როგორც პირნათლად წარსდგა საზოგადოების წინაშე მეორე აღნიშნულ შრომის გამოქვეყნებით.

ამ შრომას სრული უფლებით ეწოდება „სახელმძღვანელო მკურნალთა და სტუდენტთათვის“, რომელნიც მშობლიურს ენაზე შეიძენენ ქირურგიის მეცნიერულ ცოდნას. მით უმეტეს სასიხარულოა მკურნალთა ახალი თაობისათვის ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა, რომ საერთოდ სტუდენტობასა და ახალგაზრდა მკურნალთ, ხელმოკლეობის გამო, არ ძალუძთ შეიძინონ და გადაიკითხონ ის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ავტორს ხელთ ჰქონდა და რომელსაც იგი თავის სახელმძღვანელოში კრიტიკულად განიხილავს დღევანდელი მეცნიერების განვითარების თანახმად და ზოგსაც სტარგზის დღიდიდან.

საუცხოვო ნახატები და სურათები ხელს უწყობს მკითხველს წიგნის შინაარსის გაგება შეთვისებაში.

საერთოდ წიგნის მშვენიერი გამოცემა, როგორც შინაარსის, აგრეთვე გარეგნობის მხრივ, ცხადჰყოფს იმ მარტივს დებულებას, რომ „არა ღმერთები ჰქმნიან ღირებულებას“, არამედ სპეციალი ცოდნითა და შესაფერი ნიჭით აღჭურვილნი მოღვაწენი.

წიგნი დაწერილია ისეთი ენით, რომელიც სავსებით შეეფერება ჩვენი ნორჩი სამკურნალო მეცნიერების დღევანდელს ვითარებას. ამგვარ მოღვაწეთა მეოხებით სამეცნიერო ქართული ენა ახლო მომავალში მიიღებს სასურველად დასრულებულ სახეს.

სიტყვების წარმოება ზოგჯერ ვერ არის ნამდვილად ქართული და სასურველი, მაგალ.: ფლეგმონოზური, სიტყვიდან ფლეგმონა, უნდა იყოს ფლეგმონური; მეტასტატიური, სიტყვიდან მეტასტაზი, უნდა იყოს მეტასტაზური და მრავალი სხვა ამგვარი არის სიტყვათა უცხო ენის მიხედვით წარმოება და არა ქართული. ზოგჯერ ავტორი ჰლამობს ახალი სიტყვების შემოღებას: მცირები—бактерии, სახი—фирма, გზაჭუობი—спирт და სხვა. ზოგჯერ იგი გაურბის უკვე ცნობილ ტერმინს: განაგერჩქის ზეთის მაგიერად ხმარობს კასტორის ზეთიო (ol. ricin.) და სხვა...

დიდი მადლობის ღირსია სახალხო განათლების კომისარიატი, რომელიც აწვდის ახალთაობას ასეთ ძვირფასსა და აუცილებლად საჭირო სახელმძღვანელოს.

მიუხედავათ სიდიდისა და მშვენიერი გამოცემისა, წიგნი ღირს 4 მანეთი, რაც აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ გამომცემელი ჰფიქრობს მხოლოდ დანახარჯის ანაზღაურებას და არა მოგებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს წიგნი ახლო მომავალში გავრცელდება და დაამშვენებს არა მარტო დოსტაქრების არამედ ყოველი მკურნალის საწიგნეს.

ივანე ელიაშვილი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ეკუთვნის თუ არა მემკვიდრეს მამისეული ქონებიდან რაიმე წილი

კითხვა

მამაჩემი ნიკოლოზ პეტრესძე ივანოვი ცხოვრობდა სოფელ კავთისხევში (გორის მაზრაში), სადაც მან თავისი სიცოცხლის დროს შეიძინა ოთხი დესეტინა სახნავი მიწა პირველი ხარისხისა; ამავე სოფელში მამაჩემმა შეისყიდა სახლის ადგილი და აიშენა სამსართულიანი სახლი ხუთი ოთახით, სადაც ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები და სადაც დავიბადე მე. 1916 წელს გარდაიცვალა დედაჩემი; ხოლო 1920 წელში მამაჩემი გარდაიცვალა და დავრჩი მე მცირეწლოვანი, ობოლი უპატრონოდ. მომკიდა ხელი დედაჩემის დამ და დღევანდლამდე მზრდის, თუმცა თვითონაც გაჭირვებულია. ამით ისარგებლა მამაჩემის შორეულმა ნათესავმა სტეფანე აბულაძემ, რომლისთვისაც ჰქონდა მამაჩემს ერთი ოთახი მიცემული, როგორც მდგმურისთვის. მისთვისა მამაჩემის მთელი ქონება და მე კი აღარ მიმიკარა. როგორც უნდა ისე პატრონობს, ცხოვრობს და ხშირად მდგმურებსაც არ ასვენებს და სარგებლობს ჩემი ქონებით. მე კი ვარ სრულებით უმწეო, უსახლკარო თბ. პოლიტ. სასწავ. საალმშენ. სკოლის მოწაფე.

1923 წელს მიწის რეფორმების დროს ადგილობრივმა მიწის კომისიამ მამაჩემის შეძენილი მიწები გადასცა ხსენებულ აბულაძეს. მე კი დავრჩი სრულებით უმწეოდ და უსახლკაროდ. მამაჩემის სახლკარით და მიწებით სხვები სარგებლობენ და მე კი ვიმყოფები საშინელ მდგომარეობაში.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორ მოვიქცე ან ვის მივმართო.

მეკუთვნის თუ არა მამაჩემის შეძენილი სახლკარი და მომეცემა თუ არა მამაჩემის ყოფ. მამულიდან მიწა.

დავით ივანოვი.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 101, 180 და 181-სა, მშობლების სიკვდილის შემდეგ გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ ბავშვებს სარჩო ეძლევათ მიცვალებულთა ქონებიდან; მამათქვენის მიერ შეძენილი სახლი გეკუთვნის თქვენ; მოგეცემათ აგრეთვე მიწა თქვენი მამის მამულიდან, როგორც ობოლს (უდედმამოს).

(იხ. მიწ. კოდექ. 39-ის შენიშვნა და 41 და 44.)

თქვენი დარღვეული უფლებების აღსადგენად თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო სახალხო სასამართლოს.

ჩვენი ფოსტა.

ჯუმათის რწმუნებულ აფხაზავას. გაზეთები ნისიათ გამოგეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძველ ვალს გაანაღდებთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, ცეკას ბინაზე მოწვეულია **ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა**

რომელზედაც მოწვეული არიან და აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ათოევი (პროფკავშირებიდან), მურავიოვი (ა | კ. საოლქო კომ.), სვანიძე (თ. კომ.), ბლუაშვილი (დივიზიის პოლ. ხელმძღ.), ლიცინოვი, ციხელაშვილი, ოვანესიანი, მირიმანოვი, გეურქოვი (კომკავშირის ცეკიდან), ბახტაძე ვ., აფციაური (შინ. საქ. კომ.), ნერსესოვი (ცეკა), იაშვილი (შრომ. კომ.), ბარტალი (გერ. სექციიდან).

ს. გ. მდივანი **ჟღენტი.**

დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტ. კლუბში შესდგება **შეფკომისიების საერთო საქალაქო კრება.**

დღის წესრიგი: საინსტრუქციო მოხსენება ამხ. ერქომაიშვილისა— „ერთიან სასოფ.-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

თ. კ. მდივანი **ასრიბეკოვი.**

დღეს, 28 მაისს, დილის 9 საათზე თ. კომ. ბინაზე შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა**

სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სტურუა, ფანცულაია, წითლიძე, ფირალოვი, აკოფოვი, კომახიძე, რაბინოვიჩი, გუდავაძე, სააკოვი, კიდიაში, ათოევი, ბოლქვაძე და ერისთავი.

თ. კ. საორგ. განყ.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამანაწ. განყოფილება იწვევს, სამი დღის განმავლობაში ამხ. კარელისთან გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები:

პოლოსოვი (საბპარტ-სკოლიდან), კარასაევა მახო, ზახარკინა ელისაბედ, ჭიჭინაძე ალექსი, ბოჭორიშვილი ილია, გრიგორიან ჰაიკ, სტეფანოვი ივან, წულაია ვასილ.

— დღეს, 28 მაისს, საღამოს 5 საათზე, ლენინრაიკომის ბინაზე მოწვეულია აგიტატორთა თათბირი სააგ.-საპროპ. უჯრედებთან ერთად.

დღის წესრიგი: კოოპერაციის საკითხის გამომუშავება.

სავალდებულოა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ბაბარაშვილი თამარა, ბიტაბრამ, კალანდია ზოსიმ, ჩხენკელი კოსტ., იოვიძე, კუბოვი, საბაშვილი პარმენ, ქავთარაძე სოკრატ, შავერდოვ არამ, გაჩეჩილაძე, ბეჟანოვი, თათულოვი, ვაშაკიძე აკიმოვი ღორღოლაძე, კარიკულოვ, ხაჩიევ, ეგიკოვი, ნუცუბიძე, მაკაროვი ბარბარე, პეტროსიანი [illegible] თინოვი, შავლაძე, ტიჭკოვი, სულავა, სალუქვაძე, ქავთარაძე გიორგი,

ლ. რაიკ. სააგ.-საპ. განყ. გამგე—**გუდავაძე.**

— ქალაქის რაიკომი იწვევს: პარასკევს, 29 მაისს, საღამოს 6 საათზე, კოოპერატიულ ბანკში მოწვეულია ბანკის უჯრედების საორგანიზაციო კრება.

ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს და აგრეთვე ბანკებში მომუშავე ყველა პარტწევრებსა და კანდიდატებს ევალებათ უეჭველად გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე:

საწარმოვო ბანკიდან: ამხ. ჟღენტი, ქანტურია, ახვლედიანი, გრებენიუკოვი, კვიკვიძე, ელბაქიძე, კაჭარავა და ჯაფარიძე.

კოოპერატიული ბანკიდან: ამხ. მუსიევი, ჩხუბიანი, სუსლოვი, ოვანესოვი, კონსტანტინოვი, ლუზგინი, კაგანოვსკი, არციშევსკი, ნაზარბეკოვი, ბაბასიან, ხაჩატუროვი ბკოფოვი.

რუს. კომერც. ბანკიდან—შენგელია, მოდებაძე.

ა | კ. სას.-სამეურ. ბანკიდან- ათაბეგოვი, ტანკანოვი, სანაკოევი,

საქ. სას.-სამეურ. ბანკიდან—კაკაბაძე, ვერბოვსკი.

კომ. ბანკიდან—მესხი, ტერაშვილი, ბუღდიაშვილი.

თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში 1922 წ. 29 იანვარს გარდაიცვალა წითელარმიელი

ვლასა სვიმონისძე
გურგენაძე

გადმოსვენება და დასაფლავება მისი მოხდება მის სამშობლოში დ. სურამში კვირას, 31 მაისს, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მისი მშობლები: სიმონ და ნაჟა, ძმები: ალექსანდრე, ისიდორე და შალვა.

1—1 1462

ილია, იოსებ და კონსტანტინე ზაქარიას ძე ი [illegible] ძმასწულები ოჯახით, ცოლშვილით გულისტკივილით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 26 მაისს დაბა წითელქალაქში (ახალქალაქი) გარდაიცვალა მათი საყვარელი და

თამარ ზაქარიას ასული
თარხნიშვილისა

1—1 1467 დაკრძალვა იქვე.

ეფემია მალაქიას ასული დანდუროვისა—ზავარიანი შვილებით: ასიათი და ალეკით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს თავისი ქმრის და მეგობრის

სერგო ალექსის ძე
დანდუროვის

გარდაცვალებას. (ცხედარის გამოსვენება მოხდება გარდაცვალებულის ბინიდან, პლეხანოვის პროსპექტი № 111, მე 4-ე კორპუსი, პარასკევს, 29 მაისს, დღის 3 საათზე ხოჯევანქის სასაფლაოზე.

1—1 1469

გაზ. „კომუნისტი“

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ **გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.**

2. **ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარედგინოს **ქვითარი ან ეცნობოს ამ უკანასკნელის №.**

3. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას **თავის დროზე** (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე) ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.

4. **გაზეთების გამოწერის დროს** აუცილებლივ **გადახდილი უნდა იქნას წასული თვის ვალი მთლიანად.**

5. **კონტრ-აგენტებისა და პროვინციის ხელის მომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა** უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხვედრი ფულის გადმოგზავნით.

6. **გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს 2 ივნისს **გაიმართება** სამშაბათს 2 ივნისს

დიდი ლიტერატურული
გასამართლება

რომანისა და სურათის

სამი სიცოცხლე

გასამართლებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ადვოკატურის საუკეთესო ძალები

ნ. № 1234—1—1 ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

მოითხოვეთ ყველგან

სახღვინტრესტის

მიერ გამოშვებული ყველა ხარისხის

ლ უ დ ი

ლუდი მზადდება საუკეთესო ბოჰემური მაჭიქისაგან მოსკოვის ლუდის ქარხნის მთავარი მხდელის ამხ. მიკლერის მიერ.

5—5 ქარხანა № 6, კამოს ქუჩა ტელ. № 11—92 ნ. 1101

---

28 მაისიდან 4 ივნისამდე

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში და საგარეო ვაჭრობის ბანკის თბილისის განყოფილებაში

იწარმოებს იმ დროებითი ქვითარების გადაცვლა, რომლებიც გაცემული იყო ამ ბანკებში

საბჭოთა კავშირის 1925 წლის სახელმწიფო
მოკლევადიან 5%-ტიან
შინაურ სესხის ობლიგაციებზე

ხელისმოწერის დროს, რაოდენობით 500 მანეთამდე ჩათვლით, დროებით ქვითარებზე აღნიშნულ წესების თანახმად

500 მანეთზე ზევით ხელისმომწერნი, განაწილების გამოცხადებულ პირობების თანახმად, ობლიგაციებს არ ღებულობენ.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის— საოლქო კანტორა

საგარეო ვაჭრობის ბანკის თბილისის განყოფილება

1—1 ნ. № 1232

„ზაკავტოპრომტორგ“
(ЗАКАВТОПРОМТОРГ)

დაიწყო რეგულიარული

ავტო-მიმოსვლა

საქართველოს სამხედრო გზაზე

ბილეთების გაყიდვა და ავტომობილების გასვლა: ყოფ. თამამშევის ქარვასლა (სასახლის ქუჩიდან) დარაბა 1982. ტელეფონი 10—05.

ნ. 1229—3—1

ქალაქის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ამით აცხადებს

რომ ამა 28 მაისის დღის 12 საათზე

(ოთახში № 43)

დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა

ვერის ხიდიდან საბურთალოსაკენ გასაყვან გზაზე (მდინარე ვერაზე გადავლით) ხელოვნურ ნაშენობათა შესრულების იჯარით გასაცემად—სახელდობრ:

1. ოთხი თაღშეკრული ქვაარხის ასაგებად 0,30×0,50 საჟ. სიგრძით.
2. ერთი წყალსაშვები მილის ასაგებად,—ბეტონის ზღრუბლებით, 0,30×0,50 | 1,50 სიგრძე სიგანით.
3. მდ ნარე ვერის მარჯვენა ნაპირზე საყრდენობი ჯებირის ასაგებად— 25,00 გრძივი საჟენის სიგრძით.
4. მიმდინარე მტკვრის ნაპირზე 10 გრძივი საჟენის სიგრძით ჯებირის და წყალსაშვების ასაგებად.

ყველა ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა შესახებ განყოფილებას იღებს სამუშაოთა რაოდენობის და ვრცელებითი ცხრილი და საგეგმო ნახაზები, რომელთა გაცნობაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეებს შეუძლიათ განყოფილების კანცელარიაში (ოთახი № 52) ყოველდღე დილის 10-დან 2 საათამდე.

იქვე მიიღება დაბეჭდილი კონვერტებით წარმოდგენილი განცხადებები, რომლებზედაც წაწერილი უნდა იყოს: „გზის გასაყვანად 28 მაისისათვის დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად“.

საჯარო ვაჭრობა საბოლოვოა და სწარმოებს მხოლოდ წერილობითი განცხადებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ შეუძლიათ დაასახელონ თავისი ფასები, როგორც ყველა ჩამოთვლილ სამუშაოთა შესახებ ერთად, ისე ორივე შემთხვევაში თვითეულ სამუშაოსი ცალ-ცალკე, ე. ი. რომ ამ სამუშაოთა საერთო ღირებულებას უნდა გამოაკლონ მჭიდისა (ცემენტი) და კირის ღირებულება, რადგან ეს მასალები დამხადდება განყოფილების გახკარგულებით და მიიტანება მუშაობის ადგილზე.

წარმოდგენილ განცხადებებს თან დართული უნდა ჰქონდეთ ქვითრები ქალაქის აღმასკომის სალაროში სამუშაოთა შესახებ განცხადებული ფასების 5 პროცენტის გირაოდ შეტანის შესახებ და მოწმობები იმის შესახებ, რომ განმცხადებელი განთავისუფლებულია ასეთი გირაოს შეტანისაგან.

ყველა, ზემოხსენებულ სამუშაოთა ერთად შესრულების დოოდ დანიშნულია 1 ივნისიდან ორთვე ნახევარი ე. ი. მიმდინარე წლის 15 აგვისტო, ხოლო ცალ-ცალკე აღებულ სამუშაოთა დრო და ნიშნები ნაწილობრივი ფასების საერთო ჯამთან შეფარდებით.

იმ კონტრ-აგენტებთან, რომელნიც აიღებენ სამუშაოს, დაიდება ხელშეკრულებები, სალერბო, სარეწავი და საალმშენებლო მუშაოთათვის დაწესებული სახელმწიფო გადასახადების მათზე მიწერით.

კეთილ-მოწყობის განყოფილების გამგე **სიხარულიძე.**

ნ. 1222.

თბილისის კომუნალურ ბანკის

განცხადებაში, რომელიც იყო დაბეჭდილი მე-4 გვერდზე გაზეთ „კომუნისტ“-ში 28 [illegible] 1925 [illegible] 118 (1273) შეპარულია შემდეგი შეცდომები:

1-ლ სვე	). მწრივი	№ 10,	დაბეჭდ.	„გე შოვენის“	უნდა იყოს	„გეურშოვენისა“
მე-2	„	№ 26,	„	„135 მ.“	„	„136 მ.“
მე-3	„	№ 47,	„	„ტოონოვების“	„	„ტრონოვების“
„	„	№ 50,	„	„მე-1 უბ.“	„	„მე-7 უბ.“
„	„	№ 9,	„	„ბ ლინსკის“	„	„ბელინსკის“
„	„	№ 11,	„	„სოლო ონის“	„	„სოლომონის“
„	„	№ 16,	„	„ვოროვ“	„	„ვორონცოვის“
მე-4	„	№ 24,	„	„34 მ.“	„	„134 მ.“
მე-6	„	№ 63,	„	„პუიკარიოვის“	„	„პუშკარიოვის“
„	„	№ 71,	„	„ანნ“	„	„ანნა“
„	„	№ 76,	„	„920 მ.“	„	„929 მ.“
„	„	№ 79,	„	„ალექსანდრ“	„	„ალექსანდრე“
მე-7	„	№ 16,	„	„სული“	„	„ასულის“
„	„	№ 21,	„	„ძირ. 3208“	„	„ძირ. ვ. 208 მ.“

ნ. 1230—1—1

რუსთაველის თეატრი

ორშაბათს, ივნისის 1

„თეატრი და ცხოვრება“-ს

15 წლის არსებობის აღსანიშნავად

(1910—XV—1925)

გაიმართება

საიუბილეო საღამო-წარმოდგენა

დაწვრილებით აფიშებში **საიუბილეო კომიტეტი.**

2—1 ნ. 1231

საქ. ს. მ. უ. ს. სპირტის, კონიაკის და არაყის ტრესტი-სახღვინტრესტი

გადასახელებულია

„საქ. სახელმწიფო სპირტ“-ად
(ГРУЗГОССПИРТ)

რაც ცხადდება საერთო ცნობისათვის.

1—1 ნ. № 1228 „საქ. სახელმწიფო სპირტი“-ს სამმართველო.

კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 მაისს, 1925 წელს ქ. ოზურგეთში ჯანმრთელობის ინსპექტორის შენობაში შუა დღის 12 საათზე დანიშნულია

შერეული საჯარო
ვაჭრობა

მომავალი 1925 წ. საზაფხულო სეზონში აგარაკ ბახმაროში შემდეგი შენობების და მათი მოწყობილობის იჯარით გაცემაზედ: სასადილო, 2 საწვრილმანო დუქანი, სააბაზნო, „კეგლი“, ორი ფურნე, სახლი და სასწორი

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს წინასწარი გირაო არა ნაკლებ შემოღებულ ფასის 10 პროც.-ისა, გირაოდ არ მიიღება უძრავი ქონება. კურორტთა სამმართველო იტოვებს უფლებას საჯარო ვაჭრობის დროს იხელმძღვანელოს არა მარტო შემოძლეული ფასით, არამედ სხვა მისთვის ხელსაყრელ გარემოებითაც.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ქალაქ ოზურგეთში კურორტ ბახმაროს დირექტორთან ამხ. თეოფილე ჩიჩუასთან

ნის. № 1214—3—3 **კურორტთა მთავარი სამმართველო**

კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 29 მაისს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა
აბასთუმანის, ბორჯომის და წალვერის

საკურორტო შენობათა და მოწყობილობის იჯარით გაცემის შესახებ, რომელიც იყო გამოცხადებული (15 მაისს) გაზეთ „კომუნისტ“-ში № 109; შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება კურორტთა მთავარ სამმართველოში—მესანგრეთა ქუჩა (საპიორნი) 30, ოთახი № 22.

5—4 ნ. № 1205

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—25

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—19

არარის უეთესი

კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს.

მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—20

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. №18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან- 25—4

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი
თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—9

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—9

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, ხატუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—3

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—11

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—4 № 1432

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—20

ექიმი

გ. გ. მეხრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—3

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ.

ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

ნ. 134 25—9.

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

284 25—3.

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—3

დავკარგე საარიცხვო ბარათი და ცნობები რკინის გზის დამცველ რაზმში წინანდელი სამსახურის შესახებ გაცემული მე-11 კომისარიატიდან ნიკოლოზ კიკვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1461

დავკარგე პირადობის მოწმობა, მე-2 შრ. სკოლიდან მიცემული ვიქტორ მჭედლიშვილის სახელზე № 76. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1468

დავკარგე საარიცხვო ბარათი, მოცემული ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ კრისტეფორეს ძე ურუშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1470

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული თბილისის სამილიციო ნაწილიდან სიმონ ნიკოლოზის ძე ელიზბარაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1471

დავკარგე რევოლვერის ტარების მოწმობა სურათით მოცემული ოზურგეთის პოლიტბიუროდან ივანე მგალობლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1466

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული ლენაკის სამაზრო სამხედრო კომისარიატისაგან ვასილ ბათლომეს ძე პატარაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1465

დავკარგე სამხედრო საარიცხვო ბარათი გაცემული მე-11 უბნის მიერ და პირადობის მოწმობა ჯანსახკომის მიერ მოსე მჟღონიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1463

დავკარგე სამხედრო საარიცხვო ბილეთი ფ. № 1 № 1940 გაცემული თბილისის სამხედრო კომისარიატიდან ექიმ ასკალონ ანტონის ძე ლომსაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1460

დავკარგე მოწმობა გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ № 1039, ფოთის სატრანსპორტო კავშირის საწევრო წიგნაკი № 78, გაცემული აკაკი ნოტოს ძე ზარანდიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1464